ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 126 (12 501) 30 მაისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008
დარჩა 70 დღე



### ბარსელონამ გვარდიოლა გაინაღდა

იჩხუბეს თუ არა ჩავიმ და ფაბრეგასმა?

»»» 6

### მანჩინი: მორატი მატყუარაა!

მანჩინისა და მორატის სატელეფონო საუბარი

»»» 8



# პორტუგალიელი ფანები საქართველოს უქომაგებენ

## ჩვენებს თავში აქვთ ავარდნილი და იქნებ, ქართველებმა ჭკუა ასწავლოთო



## იაშვილს კუნთი დაეჭიმა

»»» 3




# ქართველი ვარსკვლავები დილმის ბაზაზე



შოთა ქმიშვილთან ერთად

»»» 2



მარცხნიდან: ნიკა ჩხეიძე, გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ლუდუშაური, არჩილ არველაძე, გელა ინალიშვილი, გოგა გახოკიძე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ვარსკვლავების წინააღმდეგ. რეპორტაჟი დიღმის ბაზიდან

# შოთა არველაძე: მუხლს რა ვუყო, თორემ კარიერას ჯერ არ დავასრულებდი

## ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები დიღმის ბაზაზე



გელა ინალიშვილი, ნიკა ჩხეიძე, შოთა არველაძე, გიორგი ჩიხრაძე, გოგა გახოკიძე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები



3 ივნისს ნაკრებს მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი უხელმძღვანელებენ

რამდენიმე დღეში თბილისი მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს უმასპინძლებს. 3 ივნისს **შოთა არველაძის** გამოსამშვიდობებელ მატჩზე არაერთი მათგანი ჩამოვა. ამ მატჩისთვის ჩვენმა ნაკრებმა მზადება რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო. მოგეხსენებათ, ამ შეხვედრაში მასპინძლები ძველი და ახალი თაობის ფეხბურთელებით წარდგებიან მეტოქის წინააღმდეგ. ნაკრების მოქმედი მოთამაშეები ვიზეუში არიან და პორტუგალიასთან მატჩისთვის ემზადებიან. თბილისში ვეტერანი ფეხბურთელები ვარჯიშობენ.

*"რამდენიმე დღეა, რაც ბიჭები ყოველდღე ვიკრიბებით და "ბასაზე" ვვარჯიშობთ. დღეს კი, გადავწყვიტეთ, მშობლიურ დიღმის ბაზაზე გვევარჯიშა. დღეს გოგიჩაიშვილი, ჯამარაული, ნემსაძე და ყაველაშვილი არ არიან, მაგრამ წინა წვრთნებში მათაც მიიღეს მონაწილეობა. ალბათ, რაიმე მიზეზი აქვთ, თორემ ტყუილად არ გააცდენდნენ."*, - აღნიშნა საწვრთნელი პროცესის დაწყებამდე **რევაზ არველაძემ.**

**მეკარეები: ნიკა ჩხეიძე და ირაკლი ზოიძე, მინდვრის მოთამაშეები: შოთა და არჩილ არველაძეები, მურთაზ შელია, გოგა გახოკიძე, გელა ინალიშვილი, გიორგი ლუდუშაური, გიორგი ჩიხრაძე, მურთაზ შელია, გიორგი ანჩაბაძე** და **გოჩა ტყებუჩავა, მწვრთნელები რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა,** - სწორედ ეს კონტინგენტი შეიკრიბა გუშინ "დინამოს" ბაზაზე.

- ბიჭებო, უწინდელივით კარგად თუ ვითამაშებთ, ეროვნულ ნაკრებში ისევ ხომ არ გამოგვიძახებენ? - თანაგუნდელებს ჰკითხა **მურთაზ შელიამ,** რასაც სიცილი და ერთად გატარებული წლების მოგონებები მოჰყვა.

ფეხბურთელებმა გასახდელს მიაშურეს და მალე მინდორზე გავიდნენ. თავდაპირველად მოთელვა და ნელი სირბილი, გრძელი და მოკლე პასები გაჩაღდა. ვარჯიშს თვალს ადევნებდნენ მწვრთნელები **რევაზ ძოძუაშვილი** და **მურთაზ ხურცილავა.** მალე **გიორგი ქინქლაძეც** გამოჩნდა. მას წინა დღით საქმე ჰქონდა და სხვებთან ერთად ვერ ივარჯიშა, მაგრამ თანაგუნდელების სანახავად ბაზაზე მაინც მივიდა. ფეხბურთელები ორად გაიყვნენ, მათ შოთას ვაჟი **გიორგი არველაძეც** იყო, მათ რევაზ არველაძის ვაჟები **ნიკა** და **ვატოც** დაემატნენ და მოედნის მეოთხედზე ორკარას თამაშს შეუდგნენ.

- ჩვენს გუნდს საშა ჩივაძესა და მურთაზ ხურცილავასთან ერთად ვუხელმძღვანელებ, - გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა - თუმცა აქ ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან შეკრებილები, ჩვენი მომზადება აღარ სჭირდებათ. ერთადერთი ისაა, რომ ჩვენ, მე, საშა და მურთაზი, ამ ბიჭებს, ჩვენი აქ ყოფნით გავამდიდრებთ...

**- კონკურენცია დიდია და სასტარტო შემადგენლობაზე დიდი ფიქრი დაგჭირდებათ...**

- მართალია. ჩვენც კალათბურთის პრინციპს მივმართავთ და მოთამაშეებს ხშირად შევცვლით ხოლმე, - აღნიშნა ძოძუაშვილმა.

**ჩვენ შოთა არველაძესა და რევაზ ძოძუაშვილს მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ:**

**- რამდენად სერიოზულად მიდის მზადება?**

- ჩვენს გუნდს სამ ნაწილად დავყოფდი - ძალიან სერიოზულები, ნახევრადსერიოზულები და არასერიოზულები... - დაიწყო შოთამ და ძოძუაშვილმა გააწყვეტინა - ეს დაყოფა ასეთია: მცველები, ნახევარმცველები და თავდამსხმელები...

- ყველაზე სერიოზულები მეკარეები არიან, ყველაზე არასერიოზულები კი ნახევარმცველები, - იხუმრა შოთამ, ძოძუაშვილს გახედა და დაამატა - ვნახოთ, რა ტაქტიკას შემოგვთავაზებენ მწვრთნელები...

- ტაქტიკაზე თეორიულ მეცადინეობაზე ვისაუბროთ. მანამდე კი ერთს ვიტყვი... რას ვთავაზობთ და შეცვლებს კალათბურთის პრინციპით. როგორც კი დავინახავ, რომ ვინმე დაიღალა, ეგრევე შევცვლი, სკამზე ცოტა ხნით დავასვენებ და მერე ისევ შევუშვებ მოედანზე.

**- რამდენიმე წლის შემდეგ ისევ "დინამოს" ბაზაზე ვარჯიშობთ. რას განიცდით?**

- ეს ბალახი, ეს მოედანი, ეს გარემო და საერთოდ აქაურობა ჩვენთვის საკუთარი სახლივითაა. გული ემოციით მაქვს სავსე. აქ დავიწყე კარიერა, აღმასვლა და აქ მზადებით ვამთავრებ. მე, "მიხიჩას" და საერთოდ ჩვენს გუნდს აქ არაერთი ღამე გვითენებია, არაერთხელ გახარებულები დავბრუნებულვართ ბაზაზე თამაშის შემდეგ, არაერთი ტკბილი გამარჯვება გამოჭედილა ამ მოედანზე...

**- ფეხბურთელის კარიერას ამთავრებთ და რა გრძნობა გეუფლებათ?**

- რაც არ უნდა მაღალი დონის მწვრთნელი გახდე, ფეხბურთელობას მაინც ვერაფრით შეცვლი... ფეხბურთელობა სხვა ემოციაა... ასე არაა, "მიხიჩ"?

- ჩემი აზრით, გაერთიანებული ძალა მაინც დიდი სიძლიერეა. სულ სხვაა ფეხბურთელობის შემდეგ მწვრთნელი რომ გახდები, ეს ცხოვრების მეორე ეტაპია და ისევ ფეხბურთში.

**- ბატონო რევაზ, შოთას ურჩევთ, რომ მწვრთნელობას შეუდგეს?**

- აბა რა, ის ჭკუა, რაც შოთას აქვს, არ უნდა დაიკარგოს.

მერე ისევ შოთამ გააგრძელა.

- ძალიან მინდოდა ფეხბურთელობა იმ ხალხთან ერთად დამესრულებინა, ვის გვერდითაც ნაკრებში საუკეთესო წლები გავატარე. დამესრულებინა ჩემს საფიცარ ეროვნულ სტადიონზე, ჩემი საყვარელი გულშემატკივრის თვალწინ. ფეხბურთელებმა, ჩემმა მეგობრებმა მისაყვედურეს კიდეც, რა გჭირს, ფეხბურთიდან წასვლას ხომ არ ჩქარობო, მაგრამ ამ მუხლს რა ვუყო?

საუბარში ისევ რევაზ ძოძუაშვილი ჩაერთო.

- ხშირად ხდება ხოლმე, რომ ფეხბურთელის კარიერას კი ამთავრებენ, მაგრამ მერე, რამდენიმე თვეში მოენატრებათ ხოლმე თამაში და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისევ მოირგებენ ბუცებს. წელან ველაპარაკე და მეც იგივე ვუთხარი შოთას, ჯერ ადრე ხომ არაა კარიერის დასრულება-თქო, მაგრამ მართლა რა უყოს ნატკენ მუხლს, თორემ მჯერა, შოთას სული და გული აქ რჩება, მოედანზე, - ამ სიტყვებით დაასრულა საუბარი რევაზ ძოძუაშვილმა.

ფეხბურთელებმა წვრთნა გააგრძელეს, ვარჯიშმა დაახლოებით საათს გასტანა.

**დავით ცაბაძე**



3 ივნისს ნაკრებს მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი უხელმძღვანელებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი;** მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში;** გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ᵃ** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62;** ელფოსტა: **sporti@sporti.ge;** ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

პორტუგალია-საქართველოს წინ

# პორტუგალიელი ფანები საქართველოს უქომაგებენ

## იაშვილმა ინდივიდუალურად ივარჯიშა

ჩვენი ნაკრები ჩარტერული ავიარეისით ტალინიდან პორტუში გუშინწინ ჩაფრინდა, იქიდან კი ავტობუსით მიაშურა ვიზეუს და სასტუმრო "პრინციპე პერფეიტოში" დაბინავდა. გუშინ საღამოს **პეტარ სეგრტის** გუნდმა პორტუგალიაში პირველი ვარჯიში გამართა. ქართველებმა საწვრთნელი პროცესი ადგილობრივ კლუბ "ლუშიტანუს" საშინაო არენაზე, "სელვადოზე" ჩაატარეს. ვარჯიშმა საათსა და 40 წუთს გასტანა.

წვრთნაში მონაწილეობას ყველა ფეხბურთელი იღებდა **იაშვილის** გარდა: **გიორგი ლომაია, გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე, მალხაზ ასათიანი, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ნავალოვსკი, ამირან სანაია, უჩა ლობჟანიძე, ალექსანდრე კვახაძე, დავით მუჯირი, ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან კობიაშვილი, დავით კვირკველია, ლევან ყენია, ლევან ცქიტიშვილი, დავით ოდიკაძე, გიორგი მერებაშვილი, დავით დევდარიანი, ირაკლი კლიმიაშვილი, რევაზ ბარაბაძე, რატი ალექსიძე, ბექა გოცირიძე, გიორგი ხიდეშელი.** "კარლსრუეს" თავდამსხმელი ინდივიდუალური პროგრამით დაიტვირთა. ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** ინფორმაციით, ტალინური მატჩის შემდეგ, იაშვილი კუნთის ტკივილმა შეაწუხა და ამიტომაც იყო მწვრთნელებმა გუშინ მსუბუქად რომ დატვირთეს.

ვიზეუშია პორუგალიის ნაკრებიც. გუშინ **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდმაც ივარჯიშა. სკოლარის კრებულის ვარჯიშზე დამსწრე ფეხბურთელების შემხედვარე ფანები უკმაყოფილონი დარჩნენ. პირენეელმა ქომაგებმა ჩვენი ნაკრებიც მოინახულეს და ყველას გასაკვირად უთხრეს, შაბათის მატჩში თქვენ გიქომაგებთო. მიზეზი ასეთია: ჩვენი, პორტუგალიის ნაკრების მეგავარსკვლავები ძალიან ცხვირაწეულები არიან, ცაში დაფრინავენ. 31 მაისის მატჩში, საქართველოს იმიტომ ვუქომაგებთ, რომ იქნებ სკოლარის ბიჭების გამოფხიზლება შეძლოთ. სჯობს, ისინი ქართველებმა გამოაფხიზლონ და მიწაზე დაუშვან, ვიდრე 7 ივნისს, ევროპის ჩემპიონატის სასტარტო ტურში, თურქებმა დაანარცხონ მიწაზეო.

დღეს, ჩვენი ნაკრები პორტუგალიასთან ამხანაგური მატჩის წინ, ბოლო ვარჯიშს გამართავს. წვრთნამდე, ნახევარი საათით ადრე კი პეტარ სეგრი პრესკონფერენციას გამართავს.

**დავით ცაბაძე**

# პუკის ოსტატი დიდი ფილი



პორტუგალია არის ქვეყანა, რომელზეც სიტყვებით ვერ დაიხარჯები, ეს არის ქვეყანა, რომელიც უნდა ნახო - ასე ამბობენ პორტუგალიელზე და რაღა უნდა დავამატოთ?

ჩათქვირული გოგოები და ფეხბურთზე გაგიჟებული კაცები - ასეთ ქვეყანაში ჩავიდა ამხანაგური მატჩის სათამაშოდ საქართველოს ნაკრები.

ფეიქრობა, ხე-ტყე, ფაიფური, კერამიკა, ღვინო და რა თქმა უნდა, ტურიზმი - ამით ცხოვრობს პორტუგალია.

ოთხი წლის წინათ პოტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გაწვრთნილმა პორტუგალიამ ფინალამდე მიაღწია და **ოტო რეჰაგელისგან** დამოძღვრილ საბერძნეთთან 0:1 წააგო.

პორტუგალიის ეროვნულ გუნდს ახლაც სკოლარი წვრთნის. "ბეტისის" მეკარე რიკარდუ, მადრიდის "რეალის" მცველი **პეპე**, "ჩელსის" მცველები **რიკარდუ კარვალიუ** და **პაულუ ფერეირა**, მანჩესტერელი **კრიშტიანუ რონალდუ** და **ნანი**, "ბარსას" შუახაზელი **დეკუ**...

**სიმაო, ნუნუ გომეში, ელდერ პოშტიგა** - პორტუგალიას მივიწყებული ვარსკვლავებიც ჰყავს, აქებენ "ვერდერის" 24 წლის შემტევ **უგო ალმეიდასაც**. ხვალ ბურთის უბადლო მომთვინიერებლებთან ექნებათ საქმე ქართველებს.

სკოლარიმ, "დიდი ფილი" რომ შეარქვეს, 2002 წელს ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონობამდე მიიყვანა და რამდენიმე კვირის მერე ჩაიბარა პორტუგალიის ეროვნული გუნდი. მას სხვა ნიკიც აქვს - მამა, რამეთუ მამაშვილურად ეპყრობა ფეხბურთელებს - არ არის მკაცრი, პედანტურს მეგობრული ურთიერთობა ურჩევნია, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ რბილი ხასიათი აქვს. ევრო 2008-ის შესარჩევში პორტუგალიამ სერბეთთან 1:1 რომ ითამაშა, სერბმა ფეხბურთელმა **ივიცა დრაგუტინოვიჩმა** ხელზე წამოარტყა ხელი და სკოლარისგან ისეთი ჰუკი მიიღო, მოკრივის მოწონებული.

ჩარევა ეროვნული ფედერაციის მხრიდან, გუნდური სულის ნაკლებობა - ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული პორტუგალიის ნაკრების ნაკლი იყო, რაც ასე თუ ისე გამოასწორა სკოლარიმ. შარშანწინდელ მუნდიალზე გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდა.

ერთი სიტყვით, ბრაზილიელ "დიდ ფილს" პორტუგალიაში დიდად ემადლიერებიან. ხვალ მისი გუნდისთვის საკონტროლო მატჩია ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპზე, ჩვენთვის კი - ამხანაგური. სხვაობა ალბათ ამაშიც მნიშვნელოვანია, მაგრამ ამას წინათ არ იყო, გერმანიამ ბელარუსთან 2:2 რომ ითამაშა?

ერთიც: პორტუგალიისა და საქართველოს ნაკრებები ერთმანეთთან პირველად ითამაშებენ.

**დავით თავართქილაძე**



მეტოქის ბანაკში

# პორტუგალიისთვის საქართველო თურქეთია

## მიგელი დანტისტთან, სკოლარიმ ტრიო დასაჯა




კრისტიანო რონალდო

ვიზეუში დაბანაკებული **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდი ევროპის ჩემპიონატისათვის მწვანეში ჩაფლულ, მყუდრო ბაზაზე ემზადება. რა მოტივით განაცხადა პორტუგალიურმა მხარემ თანხმობა ქართველებთან ამხანაგური მატჩის გამართვაზე ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე 6 დღით ადრე? საქმე ისაა, რომ სკოლარის გუნდს სასტარტო შეხვედრა თურქეთთან აქვს და საქართველოსთან მატჩი გენერალური რეპეტიცია იქნება.

*"ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი პირველი მეტოქე თურქეთია. სკოლარის კი სურდა, მსგავს გუნდთან გაემართა საკონტროლო მატჩი, თანაც არც ისე ძლიერ მეტოქესთან. საქართველო კი სრულად აკმაყოფილებს ბრაზილიელი მწვრთნელის მოთხოვნებს. ქართველები ტექნიკურ ფეხურთს თამაშობენ და ბურთის კარგად ფლობასთან ერთად, ფიზიკური მომზადებაც არ აკლიათ. მეტოქის გუნდს ტოპმიოლერის გადადგომის შემდეგ ხორვატი სეგრტი წვრთნის და ქართველებს ყველაზე გამორჩეული ფიგურა კალაძე არ ეყოლებათ"*, - წერს ერთ-ერთი პორტუგალიური გამოცემა და იქვე აგრძელებს - *"საქართველოს ნაკრები ჩვენთვის მართლაც ზედგამოჭრილი სპარინგპარტნიორია, მაგრამ ამ გუნდზე ბოლო ცნობებმა, ჩვენს ფეხბურთელებს შესაძლოა შაბათის მატჩისადმი მოტივაციაც კი შეუსუსტოს - საქართველომ 27 მაისს ესტონეთთან სტუმრად 1:1 ითამაშა.*

*საბოლოო ჯამში, შაბათს საინტერესო თამაშს უნდა ველოდოთ. სკოლარი ქართველებთან მოგებაზე მეტად ტაქტიკური კომბინაციების მოსინჯვაზეა ორიენტირებული. სურს, შეგირდები 4-3-3 და 4-2-3-1 სქემაში კიდევ ერთხელ გამოცადოს. მას სჯერა, რომ რეპეტიცია კარგად ჩაივლის და შედეგიც ჩინებული იქნება".*

აღსანიშნავია ისიც, რომ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ ჩინოსან **ჟოზე ალბერტუ ფერეირას** ინფორმაციით, ვიზეუში პორტუგალია-საქართველოს მატჩის ბილეთების გაყიდვა გუშინ დაიწყო და პირველივე დღეს 2 800 ბილეთი გაიყიდა.

დაბოლოს, პორტუგალიელთა გუშინდელი ვარჯიშის შესახებ, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვებგვერდი"ვიზეუ ონლაინი". საიტის ცნობით, გუშინ, "ვალენსიას" მცველმა **მიგელმა** ვარჯიში გააცდინა. როგორც ირკვევა, მას კბილი ასტკივდა და სკოლარიმ სტომატოლოგთან გაუშვა. ბრაზილიელმა მწვრთნელმა **რონალდოს, დეკუსა** და **კარვალიუს**, წვრთნის შემდეგ, ტრენაჟორებზე ვარჯიში "მიუსაჯა". **პეტიტი** კუნთის ტკივილმა შეაწუხა და გუშინ მან მხოლოდ ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშა.

**დავით ცაბაძე**

# კესანი საქართველოთი და საკუთარი თავით კმაყოფილია


პოლ კესანი

**გაბონის ნაკრები, რომელსაც ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი ალენ ჟირესი წვრთნიდა (ფრანგი აპრილში წავიდა ნაკრებიდან) ლესოტოს ნაკრებთან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩისთვის ემზადება. ნაკრებში საქართველოში მოთამაშე ოთხი გაბონელია გამოძახებული: დინამოელები დიდიე ოვონო და ჟორჟ აკირემი და ორი „ზესტაფონის" ტრიოდან - პოლ კესანი და ერნესტ აკუასაგა, ნაკრებს მიღმა დარჩა მხოლოდ ეტიენ ბიტოო.**

**გაბონის ნაკრების საიტმა „ლეს პანტერსმა" ექსკლუზიური ინტერვიუ აიღო „ზესტაფონისა" და საქართველოს XIX ჩემპიონატის გამორჩეულ ნახევარმცველ პოლ კესანისგან. სხვათა შორის, ეს საიტი მუდმივად ყურადღებას აქცევს თუ როგორ თამაშობენ აფრიკელები შორეულ საქართველოში სეზონის განმავლობაში.**

**- დილა მშვიდობისა, პოლ, „პანტერსი" გილოცავთ საქართველოში ჩატარებულ წარმატებულ სეზონს, მესამე ადგილს ჩემპიონატში და საქართველოს თასის მოპოვებას. ალბათ ძალიან გახარებული ხართ...**

- რა თქმა უნდა, მინდა თქვენ და ყველა გაბონელ გულშემატკივარს დიდი მადლობა გადაგიხადოთ მხარდაჭერისთვის. ვიცი, რომ თქვენი საიტი დიდ ყურადღებას გვითმობს საქართველოში მოთამაშე გაბონელ ლეგიონერებს, ამისთვისაც დიდი მადლობა. უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ და ქვეყნის თასი, ბუნებრივია, ძალიან გახარებული ვარ.

**- ბოლო ოთხ ტურში თქვენ სამი გოლი გაიტანეთ. ეს საოცარია, ჩვენ აქ უფრო დაცვითი სტილის ფეხბურთელად გიცნობთ...**

- თავიდან უფრო დაცვითი სტილის ფეხბურთს ვთამაშობდი, თუმცა „ზესტაფონის" მწვრთნელის მხარდაჭერით სულ უფრო და უფრო ნაკლებად ვერიდები რისკზე წასვლას.

**- როგორ ფიქრობთ, სწორად ვითარდება თქვენი პროფესიული კარიერა?**

- საუკეთესო გზით. ვერც კი წარმოვიდგენდი, საქართველოში გადასვლით რა სწორი ნაბიჯი გადავდგი. საქართველოს ჩემპიონატში თავის გამოჩენა კარგი დასაწყისია უკეთეს ლიგაში მოსახვედრად.

**- რას იტყვით ჩვენს ჯგუფზე 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევში?**

- განა უპირობო ფავორიტია, მაგრამ გაბონიც იტყვის თავის სიტყვას.

**- თუ ეკონტაქტებით ხშირად ნაკრების სხვა ფეხბურთელებს სეზონის განმავლობაში?**

- რა თქმა უნდა, ხშირად ვურეკავ ფაბრის დო მარკოლინოს, ტიერი ისიემუს, ერიკ მოლუნგუის. რაც შეეხება საქართველოში მოთამაშეებს, მათთან ხომ ყოველდღიური კონტაქტი მაქვს. სხვათა შორის, ძალიან ხშირად ჩვენი სალაპარკო თემა გაბონის ნაკრების თამაში, მისი პერსპექტივაა.

**- სხვათა შორის, გულშემატკივრები გაწბილებულნი არიან ნაკრების თამაშით, როგორ აპირებთ მათი განწყობის ამაღლებას?**

- გაბონელებს ძალიან გვიყვარს ნაკრები და წარუმატებლობას განსაკუთრებით განვიცდით. ვფიქრობ, მათთვის ყველაზე კარგი საჩუქარი ჩვენგან გამარჯვება იქნება.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# აზერბაიჯანში ქართველები დაითხოვეს


რომან ახალკაცი


ალექსანდრე ინწკირველი


გოჩა ტრაპაიძე

აზერბაიჯანში დასრულებულ პირველობაში ევლახის „ქარვანმა" ისტორიაში ყველაზე ცუდი სეზონი ჩაატარა და ჩემპიონატი მე-11 ადგილზე დაასრულა. გუნდის ხელმძღვანელობამ ამის გამო რადიკალური ნაბიჯი გადადგა და წმენდა ჩაატარა – გუშინ 23 ფეხბურთელიდან ერთბაშად 19 დაითხოვეს. სამწუხაროდ, მათ შორის სამივე ქართველი ლეგიონერი მოხვდა – **ალექსანდრე ინწკირველი, რომან ახალკაცი** და **გოჩა ტრაპაიძე**. ქართველებს, ისევე, როგორც კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს, ზაფხულში კონტრაქტი უსრულდებოდათ და კლუბის ხელმძღვანელობამ მათთან ურთიერთობის გაგრძელება აღარ ინება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დიდი მოცულობის სამუშაო


ვაჟა სიმონიშვილის
კარიკატურა




დავით თავართქილაძე

სანამ ფედერაცია მწვრთნელზე ჭმუნავს, პეტარ სეგრტის გაწვრთნილმა საქართველომ ესტონეთში ფრე მოინაგრა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს თამაში ეზარებათ - სეზონი ახალი დამთავრებულია და ბურთი და მინდორი ყველას მობეზრებული აქვს. მაგრამ ახალი მწვრთნელი, თუნდაც დროებითი, სულ სხვაა.

სეგრტი ამბიციურია და სადღაც, გულის რომელიღაც კუნჭულში ალბათ იმედი აქვს, თუ 31 მაისს პორტუგალიასთან არ წააგებს, დარჩება ნაკრების წინამძღოლად.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არაერთხელ დაუნიშნავს დროებითი მწვრთნელი ნაკრებში და მერე მასთან კონტრაქტი გაუფორმებია. ასე გააგრძელა ნაკრების მწვრთნელობა ალექსანდერ ჩივაძემ მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობისას და გაიოზ დარსაძემ ნოდარ ახალკაცის თაოსნობისას.

ესტონეთთან თამაშის წინ სეგრტმა ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა გააკრიტიკა, რატომ უჭედავს თავს ყველას იმით, რომ მე დროებითი მწვრთნელი ვარ, ეს ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებსო. პროფესიულ ამბავში სეგრტი ვინძლო მართალია. მისი თამამი განცხადება ვარაუდის საფუძველსაც გვაძლევს - ფეხბურთის ფედერაციაში სეგრტს ალბათ, ვიღაც აგულიანებს და ოცნების საშუალებას აძლევს - იქნებ პორტუგალიასთანაც არ წავაგოთ და...

მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ფეხბურთელებს ახლა თამაში ეზარებათ. ესტონეთი კიდევ არაფერი, პორტუგალია კი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და ვისაც ძირითადში მოხვედრა უნდა, საქართველოსთან ვერ იზარმაცებს.

ჩვენს ბიჭებს კი ისიც ვერ გაუგიათ, ვინ იქნება ნაკრების მწვრთნელი პორტუგალიის შემდეგ, მაგრამ სეგრტი ახალია და ეს უკვე ახალი, არც თუ დიდი, მაგრამ მაინც მოტივაციაა.

დახლართული ამბავი უკიდეგანო მაინც ვერ იქნება. ფოლკერ ფინკეს პასუხს ელის ფედერაცია. 60 წელი მწვრთნელისთვის ჯერ კიდევ ოპტიმალური ასაკია. ჰერ ფინკე ნორმალური კაცი ჩანს, უკმეხი და უქნარა რომ იყოს, პერიფერიულ "ფრაიბურგშიც" ვერ დაიგდებდა სახელს და ტელევიზიაშიც არ მიიწვევდნენ მიმომხილველად. ფინკე ფედერაციას ჩვენი ნაკრების ყოფილმა ფრაიბურგელებმა ურჩიეს და არც ეს უნდა ნიშნავდეს ცოტას.

ფინკეს "ფრაიბურგი" ჭრელი იყო, რაგინდარა რჯულის ფეხბურთელებს მწვრთნელი კარგად მართავდა და იქნებ საქრთველოს ნაკრებსაც მოურგოს ფინკემ გასალები.

ადრე მოდური იყო იმაზე ლაპარაკი, ჭირდებოდა თუ არა საქართველოს ნაკრებს ფსიქოლოგი. მერე გაირკვა , რომ გუნდისთვის ყველაზე კარგი ფსიქოლოგი მწვრთნელია, მაგრამ არც ამ განმარტებამ მიიყვანა ჩვენი ნაკრები სწორ გზამდე.

ხელისუფლებამაც ვეღარ მოიცალა ფეხბურთისთვის. ფინკე ტოპისთან შედარებით ბევრად იაფი ეღირება, მაგრამ ყველაფერი ფული ღირს - რომ მატყუებ და აბუჩად მიგდებ, ფული დროულად მაინც გადაიხადე ქართული ფეხბურთისთვის, თორემ უარყოფითი ემოციების დაგროვება და მერე ზალპით გადმონთხევა რომ ეხერხება საქართველოს, ამას ფსიქოლოგის დასკვნა აღარ სჭირდება.

ის კი ვერ გამიგია, რატომ ვერ გახდა მალხაზ ასათიანი სუპერმოთამაშე.

ზოგჯერ მისი თამაშის ყურებას იმის ყურება ჯობია, როგორ ატარებს პრესკონფერენციას ნოდარ ახალკაცი.

რატომ უნდა თქვან ასათიანზე, დაცვაში იმიტომ ათამაშებენ, დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება არ შეუძლია და შუა ხაზში ვერ იქნება სასარგებლოო? წარმოგიდგენიათ, ასათიანმა დიდი მოცულობის სამუშაო რომ შეასრულოს, რა დამანგრეველი ძალის ფეხბურთელი იქნება მეტოქისათვის? რა უშლის ამაში ხელს ასათიანს?

ჩვენთან ამაზე კამათი რატომღაც მიუღებელია, არადა ეს საჭიროა, რადგან ასათიანი ძალიან საჭიროა ჩვენი ნაკრებისთვის. ნახევარდაცვაში ლიდერის ყოლა განსაკუთრებული, უფრო დიდი მნიშვნელობისაა, ვიდრე სხვა რგოლში. ლევან ყენია შემტევი შუახაზელია და მთელ ნახევარდაცვას ვერ გაედება, თუნდაც მისი ასაკის გამო. მოკლედ, ძალიან დასანანი იქნება, თუ გამართლდება დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ ასათიანი დიდი მოცულობის სამუშაოს ვერ გასწვდება, რომ სულ დაცვაში უნდა ითამაშოს.

დიდი მოცულობის სამუშაო უნდა ჩაეტარებინა ფეხბურთის ფედერაციას მწვრთნელის მოსაძიებლად, მაგრამ საამისოდ დრო თვითონ დაიმოკლა, როცა კლაუს ტოპმიოლერს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ჩაფლავებამდე აცალა მავნებლობა. ფეხბურთში დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებას ერიდება ხელისუფლებაც - სად არის ფხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა? სად არის სამოქმედო გეგმა? სად არის თვითონ მოქმედება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. სპარტაკი

# ჭაბუკები შედეგისთვის და არა ალიბისთვის

**სპარტაკი**

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| მამუკაშვილი | 25 | 25 | - | 2 | - |
| ხიდეშელი | 23 | 23 | 3 | 4 | - |
| ხაჭიპერაძე | 22 | 22 | - | 1 | - |
| ძემოკლიძე | 22 | 22 | - | 2 | - |
| ძარია | 22 | 21 | 2 | 2 | 1 |
| თ. თარხნიშვილი | 21 | 21 | 1 | 5 | - |
| გოგოხია | 21 | 20 | - | 1 | - |
| ბახტურიძე | 21 | 18 | - | 3 | - |
| კუპრეიშვილი | 17 | 12 | - | 1 | - |
| კოდალაევი (მეკ.) | 14 | 14 | -15 | 2 | - |
| ძვილითაია (მეკ.) | 12 | 12 | -13 | - | - |
| ჯანელიძე* | 12 | 8 | 2 | 1 | - |
| ვ. კვარაცხელია** | 12 | 5 | 1 | 1 | - |
| მედოევი | 12 | 1 | 1 | 1 | - |
| ჩირიკაშვილი* | 11 | 11 | 1 | 1 | - |
| ტყეშელაშვილი** | 11 | 8 | 1 | 2 | - |
| მ. ღონღაძე** | 11 | 8 | 1 | 1 | - |
| დარბაიძე | 10 | 4 | - | - | - |
| დათუნაშვილი | 8 | 7 | - | 1 | - |
| კ. ავალიანი* | 7 | 4 | - | - | - |
| თექთურმანიძე | 7 | 1 | - | - | - |
| ივანაშვილი | 6 | 2 | - | - | - |
| პარამონოვი* | 5 | 5 | - | - | - |
| ქორიძე** | 5 | 5 | - | - | - |
| კეტაშვილი* | 4 | 3 | - | - | - |
| ტატაევი* | 4 | - | - | - | - |
| გოგოლაძე* | 3 | 1 | - | - | - |
| ხიზანიშვილი** | 3 | 1 | - | 1 | - |
| ბაგაშვილი** | 1 | 1 | - | - | - |
| ზამთარაძე** | 1 | 1 | - | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| ***11. სპარტაკი*** | ***26*** | ***5*** | ***8*** | ***13*** | ***15-28*** | ***23*** |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |



რომ არა უშუალო კონკურენტ ლოკომოტივთან ფრე, სპარტაკი უმაღლეს ლიგაში დარჩენას პლეი ოფის გარეშე იზეიმებდა



კობა ჟორჟიკაშვილი

ცხინვალის "სპარტაკი" ზედ ჩემპიონატის დაწყებამდე შეიქმნა და იმთავითვე ცხადი იყო, რომ სამაჩაბლური კლუბის ერთადერთი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნებოდა. თუმცა, ეს ამოცანაც მეტად რთული შესასრულებელი გახლდათ - ახლად დაარსებული კლუბი ხომ თითქმის მთლიანად უცნობი ჭაბუკებით დაკომპლექტდა. ბევრი ამბობდა, რომ "სპარტაკი" გასავარდნად იყო განწირული, მაგრამ კობა ჟორჟიკაშვილმა თავისი სამწვრთნელო კვალიფიკაცია კიდევ ერთხელ დაამტკიცა და გარდა იმისა, რომ ნორმალური შედეგი აჩვენა, ქომაგმა რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი გაიცნო.

"სპარტაკმა" ყველა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, ქულათა საკმაო მარაგს მოუყარა თავი, სეზონი კი, პლეი ოფში "გაგრას" ძლევით მაჟორულ ნოტაზე დაასრულა. ცალკე აღნიშვნის ღირსია "სპარტაკის" ასპარეზობა საქართველოს თასზე, სადაც ჟორჟიკაშვილის გუნდი მეოთხედფინალამდე მივიდა და იქიდან კინაღამ "დინამო" გააგდო.

მოკლედ, ქართული ფეხბურთი მზარდ და საინტერესო კრებულს შეინარჩუნებს, რომლისგანაც მომავალ სეზონში კიდევ უფრო მეტს უნდა ველოდოთ.

## კობა ჟორჟიკაშვილი
მთავარი მწვრთნელი

"გუნდი ექსტრემალურ პირობებში შეიკრიბა. არც დაფინანსება გვქონია დიდი და სხვადასხვა სახის პრობლემებიც არ გვაკლდა. არასრულფასოვანი იყო საწვრთნელი პროცესი... ყველაფრის მიუხედავად, გუნდმა ღირსეულად იასპარეზა. პირველი წრის მერე "სპარტაკი" ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა, **ირაკლი ჩირიკაშვილმა** და **დავით ჯანელიძემ** დატოვა. უმაღლეს ლიგაში დარჩენა მათ გარეშეც მოვახერხეთ. ისიც კი შეგვეძლო, ფლეი ოფი საერთოდ აგვეცილებინა თავიდან".

### საუკეთესო მატჩი

"ჩემპიონატში რამდენიმე კარგი შეხვედრა ჩავატარეთ, ყველაზე უკეთ ბოლო ტურებში გამოვიყურებოდით. საწვრთნელი პროცესი ისე დავგეგმეთ, რომ გუნდი ფორმის პიკზე სეზონის ბოლოს გასულიყო და ასეც მოხდა".

### ყველაზე ცუდი მატჩი

"ყველაზე ცუდად მეორე წრის საწყის ტურში, შინ "სიონთან" ვითამაშეთ. ბოლნისელებთან 0:2 დავმარცხდით".

### პლუსი

"უმაღლეს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჩვენ გვყავს. "სპარტაკის" ფეხბურთელებს, პირველ რიგში, პროგრესი აინტერესებთ, ისინი განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. ბევრი მწვრთნელი ახალგაზრდულ შემადგენლობას ალიბად იყენებს და ცუდ შედეგებს ამით ამართლებს. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ მომენტალური შედეგი მომეთხოვებოდა და ამის მიუხედავად, გავრისკე. ჩემმა ჩანაფიქრმა გაამართლა და გარდა იმისა, რომ "სპარტაკში" ფეხბურთელები იზრდებიან, მათ ახლავე შეუძლიათ უმაღლეს ლიგაში წარმატებით ასპარეზობა".

### მინუსი

"ქართული კლუბების უმეტესობა არასახარბიელო პირობებში ვარჯიშობს და ჩვენც ასე ვართ. სანამ საფეხბურთო ინფრასტრუქტურა არ გაუმჯობესდება, მანამდე დიდ შედეგებს ვერ მივაღწევთ. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის დირექტორ **გივი ჭანტურიძეს** თანადგომისთვის დიდ მადლობას გადავუხდი. "სპარტაკი" "ლოკომოტივზე" სისტემატურად ვარჯიშობდა".

### მზადება მომავალი სეზონისთვის

"ივნისის შუა რიცხვებში შევიკრიბებით, თუმცა ფეხბურთელებს ფორმაში ყოფნა შვებულების დროსაც მართებთ. როცა შეკრებას დავიწყებთ, მათ ტესტირებას ჩავუტარებთ და გავიგებთ, ვინ როგორ გაატარა თავისუფალი დრო".

### საკადრო პოლიტიკა

"ჯერჯერობით, ამაზე საუბარი ნაადრევია. ისე კი, გუნდის შემადგენლობა კარდინალურად არ შეიცვლება. ოთხი ფეხბურთელი – **ძარია, ბახტურიძე, ქორიძე** და **ტყეშელაშვილი** ჩვენთან იჯარით თამაშობს და ვნახოთ, დაიბრუნებს თუ არა მათ "ზესტაფონი".

### მიზნები

"ხანგრძლივი პროგრამა გვაქვს, რომელსაც მიზანმიმართულად ვახორციელებთ. მომავალ სეზონში უფრო მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლებთ".

### ფინანსური მდგომარეობა

"საბიუჯეტო კლუბი ვართ და შესაბამისად, შეზღუდული დაფინანსება გვაქვს, მაგრამ "სპარტაკის" წევრებს ურიგო პირობები ნამდვილად არ აქვთ შექმნილი. თანხას ყაირათიანად ვხარჯავთ. **დიმიტრი სანაკოევი** და მისი ადმინისტრაცია მხარში მაქსიმალურად გვიდგანან".

### რჩეულნი

"სპარტაკის" წევრთაგან ვერავის გამოვყოფ, საერთო საქმეში ყველამ დიდი წვლილი შეიტანა. გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად კი "დინამოს" გაზონელი მეკარე **დიდიე ოვონო** მიმაჩნია".

### მსაჯობა

"შეცდომები ყველას მოსდის, თუმცა ჩვენს მსაჯებს შეგნებულ არაობიექტურობას ვერ დავწამებ. ისინი საქმეს პროფესიონალურად უდგებიან, საკუთარ თავზე ბევრს მუშაობენ და თვალში საცემად პროგრესირებენ. ქართული სამსაჯო სკოლა ქართულ ფეხბურთს არაფერში ჩამორჩება და შეიძლება, უსწრებდეს კიდეც. ვერავინ იტყვის, რომ გასულ სეზონში რომელიმე გუნდმა თავის შედეგს დაუმსახურებლად მიაღწია. სჯობს, შეცდომები ყველამ თავის თავში ვეძიოთ".

### ჩემპიონატის ახალი ფორმატი

"არა მგონია, რომ უმაღლესი ლიგის 12 გუნდამდე შემცირებამ რაიმე შედეგი მოგვცეს. პრობლემები ამ შემთხვევაშიც იქნება, ასე რომ, ისევ 16-გუნდიანი ჩემპიონატის ჩატარება სჯობდა. ეს სისტემა თავის გამოჩენის შესაძლებლობას უფრო მეტ ფეხბურთელსა და მწვრთნელს მისცემდა".

ლევან ჯანეზაშვილი




**I ტური**
ს | სიონი | 1:1
გოლი: თარხნიშვილი

**II ტური**
შ | ბორჯომი | 0:0

**III ტური**
ს | მერანი | 1:0
გოლი: მედოევი

**IV ტური**
ს | მგლები | 0:2

**V ტური**
შ | დინამო | 0:3

**VI ტური**
ს | ბათუმი | 1:0
გოლი: ჯანელიძე

**VII ტური**
შ | ამერი | 0:1

**VIII ტური**
ს | ვიტ ჯორჯია | 0:1

**IX ტური**
შ | მესხეთი | 0:2

**X ტური**
ს | ზესტაფონი | 0:2

**XI ტური**
ს | დილა | 0:0

**XII ტური**
შ | ოლიმპი | 0:2

**XIII ტური**
შ | ლოკომოტივი | 2:0
გოლები: ჯანელიძე, ჩირიკაშვილი

**XIV ტური**
შ | სიონი | 0:2

**XV ტური**
ს | ბორჯომი | 1:2
გოლი: ძარია

**XVI ტური**
შ | მერანი | 1:0
გოლი: ტყეშელაშვილი

**XVII ტური**
შ | მგლები | 0:0

**XVIII ტური**
ს | დინამო | 1:2
გოლი: მ. ღონღაძე

**XIX ტური**
შ | ბათუმი | 0:1

**XX ტური**
ს | ამერი | 0:2

**XXI ტური**
შ | ვიტ ჯორჯია | 0:0

**XXII ტური**
ს | მესხეთი | 0:0

**XXIII ტური**
შ | ზესტაფონი | 2:2
გოლები: ხიდეშელი (2)

**XXIV ტური**
ს | ლოკომოტივი | 2:2
გოლები: ხიდეშელი, ძარია

**XXV ტური**
შ | დილა | 3:0
*(ტექნიკური, 1:0-ზე შეწყდა)*
გოლი: ვ. კვარაცხელია

**XXVI ტური**
ს | ოლიმპი | 0:1

**ფლეი ოფი**
ნეიტ. | გაგრა | 1:0
გოლი: მ. ღონღაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთის ნაკრები

# ეს საბოტაჟი და დივერსიაა

## ჩავი: ფაბრეგასთან არ მიჩხუბია. დეზინფორმაცია თუ არაღიარებული სიმართლე?

ესპანეთში ხმები გავრცელდა, **ჩავი ერნანდესმა** და **სესკ ფაბრეგასმა** იჩხუბესო. "ბარსელონის" ნახევარმცველი გაოცებას ვერ მალავს და კოლეგასთან დაპირისპირების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. აი, რას ამბობს ჩავი: "წარმოდგენა არ მაქვს, რატომ აგორდა ეს ჭორები. ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს სესკთან მტრული დამოკიდებულება მაქვს და მას ეჭვის თვალით ვუყურებ. პირდაპირ მინდა განვაცხადო, რომ ეს მტკნარი სიცრუეა. ფაბრეგასი ჩემი კონკურენტია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრებში მისი წარმატება არ გამიხარდება. "სელექსიონში" ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი. თავი არასოდეს დამიზოგავს. ნაკრებისთვის სიკეთის მეტი არაფერი მინდა. იდიოტი არ გახლავართ, რომ კოლეგებთან კონფლიქტი გავაჩაღო. მით უმეტეს, ევროპის ჩემპიონატის წინ. მოკლედ, ფაბრეგასთან არ მიჩხუბია. ვერ ვხვდები ამ საშინელი ჭორების აგორება ვის დასჭირდა. თავად ფაბრეგასს ჰკითხეთ და გეტყვით, რომ ფანტასტიკური ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ დაახლოებით ერთი და იმავე სტილის მოთამაშეები ვართ. ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებთ და რჩევებს ვაძლევთ."

ერთი შეხედვით ჩავის ამ განცხადების შემდეგ დამატებითი კითხვები აღარ უნდა გაჩენილიყო, მაგრამ "დიარიო სპორტის" კორესპონდენტმა ერნანდესი მაინც ძალიან გააღიზიანა. ჩვენი კოლეგის მტკიცებით, სადღესასწაულო წვეულებაზე ის ჩავის ბავშვობის მეგობარს **გუსტავო სალინასს** სრულიად შემთხვევით შეხვდა. ჟურნალისტმა პროფესია არ გაამხილა და სალინასისგან ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოიპოვა. მოკლედ, კატალონიური გაზეთის კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ სალინასმა ჩავისა და სესკის მტრობის ამბავი გაუმხილა. "ბარსას" ნახევარმცველმა პასუხის გაცემისას ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა: "ნუ მიწყენთ, მაგრამ მოცლილი და ჭორიკანა ადამიანი ყოფილხართ. სამარცხვინოდ იქცევით, რადგან საზოგადოება შეცდომაში შეგყავთ. შეუძლებელია, გუსტავოს თქვენთვის ეს ეთქვა. ის ფეხბურთს ვერ იტანს. ბავშვობიდან ვმეგობრობთ, მაგრამ "კამპ ნოუზე" ერთხელაც ვერ მოვიყვანე. დარწმუნებული ვარ, სალინასმა არც კი იცის ფაბრეგასი ვინ არის. "დიარიო სპორტი" ჩემი საყვარელი გაზეთია. ის სოლიდური გამოცემაა, მაგრამ თქვენ ყველაზე მდარე ხარისხის ტაბლოიდის თანამშრომელივით იქცევით."



შეურაცხყოფილმა ჟურნალისტმა უკან არ დაიხია და ჩავის მის მეგობართან დარეკვა მოსთხოვა. ფეხბურთელმა მისი თხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულა, თუმცა გუსტავო სალინასს მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა. ჩავიმ ტელეფონი გვერდზე გადადო და საუბარი გააგრძელა: "ვატყობ, სკანდალი ერთი კაცის მიერ გავრცელებულმა დეზინფორმაციამ ააგორა. სამწუხაროა, რომ ეს სისულელე სხვა გაზეთებმაც გამოაქვეყნეს. მე როგორც ვიცი, ჟურნალისტი ვალდებულია, ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმოს. მთელი ქვეყნის გასაგონად ვამბობ, რომ მე და ფაბრეგასს არანაირი პრობლემა არ გვაქვს. დარწმუნებული ვარ, სესკი ევროპის ჩემპიონატზე ფურორს მოახდენს. შეიძლება არაგონესმა ორივე ერთდროულად გვათამაშოს ან ერთ-ერთი ჩვენგანი სათადარიგოთა სკამზე დასვას. მე ნებისმიერ შემთხვევაში ესპანეთის ნაკრების ინტერესებს მოვემსახურები და არანაირ პრობლემას არ შევქმნი."

### სესკი ჟურნალისტებს საბოტაჟსა და დივერსიაში ადანაშაულებს

მიუხედავად იმისა, რომ ჩავიმ სესკთან დაპირისპირების ფაქტი არ დაადასტურა, საფეხბურთო საზოგადოებაში ეჭვები მაინც არ გაფანტულა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, "დიარიო ასის" კორესპონდენტი **მანუელ რამირესი** ფაბრეგასს შეხვდა და კომენტარის გაკეთება თხოვა. "არსენალის" ვარსკვლავის განცხადება ასეთია:

"წარმოდგენა არ მაქვს, დაპირისპირებაში რას გულისხმობთ. თუ იმაზე ლაპარაკობენ, რომ ვარჯიშებზე ერთმანეთს ვეკამათებით, მაშინ არამარტო მე და ჩავი, არამედ მთელი ესპანეთის ნაკრები დაპირისპირებულები ვყოფილვართ. სამუშაო პროცესში შეიძლება ერთმანეთს დავუყვიროთ, ხელი ვკრათ, ვაწყენინოთ კიდეც, მაგრამ ვარჯიშის დასრულებისთანავე ერთმანეთს ვეხუტებით და ყველა წყენას ვივიწყებთ. სიმართლე გითხრათ, ჩავისთან კამათის ერთი ფაქტიც კი არ მახსენდება. ის უაღრესად თავმდაბალი და შრომისმოყვარე ადამიანია. შენიშვნებზე პათოლოგიურად არასოდეს რეაგირებს. პირიქით, ყველა მითითებას მშვიდად ისმენს და ცდილობს, ხარვეზები გამოასწოროს. პროფესიონალიზმიც სწორედ ეს არის. მოკლედ, ჩვენ შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს და ძალიან გთხოვთ, ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ სიტუაციას ნუ ძაბავთ. ამას ჩვენი მოწინააღმდეგე გუნდების თანამემამულე ჟურნალისტები რომ აკეთებდნენ, რა თქმა უნდა, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ გაოცებას ვერ ვმალავ, რომ დეზინფორმაციას ესპანელი კორესპონდენტები ავრცელებენ. ჩემი აზრით, ეს საბოტაჟი და დივერსიაა."

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე 10 დღეზე ნაკლები დარჩა. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებმა ამასობაში მაისურები გადაინაწილეს. ფაბრეგასმა 10-ნომრიანი მაისურა ჩაიგდო ხელში. ჟურნალისტებმა ეს ფაქტი "არსენალის" ვარსკვლავის ამბიციურობის გამოვლენად მიიჩნიეს, თუმცა თავად ფეხბურთელი უჩვეულოს ვერაფერს ხედავს. საუბრის ბოლოს ჩვენმა ესპანელმა კოლეგამ ფაბრეგასს საკლუბო კარიერაზეც ჰკითხა. გაირკვა, რომ სესკი "არსენალის" დატოვებას არ აპირებს. ახალგაზრდა კატალონიელს ლონდონურ გუნდთან ერთად პრემიერლიგაში გამარჯვება სურს და სანამ ამ მიზანს არ მიაღწევს, კლუბის გამოცვლაზე არ იფიქრებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბარსელონა

# ბარსამ გვარდიოლა გაინაღდა

## დიდი ცვლილებების მოლოდინში. კატალონიელები ვარსკვლავებს ყიდიან და მშრომელ ბიჭებს ეპატიჟებიან

გუშინ **ხოსეპ გვარდიოლა** "ბარსელონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოფიციალურად დაინიშნა. მოგეხსენებათ, მისი მოსვლის შესახებ ჯერ კიდევ პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე ითქვა, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებს მხოლოდ გუშინ მოეწერა ხელი. კატალონიური გრანდის ლეგენდარული ნახევარმცველი მშობლიურ კლუბს მომდევნო ორი სეზონის განმავლობაში უხელმძღვანელებს. რა თქმა უნდა, თუ ცუდი შედეგების გამო მისი წინამორბედის, **ფრანკ რაიკაარდის** მსგავსად ვადამდე არ გაათავისუფლეს. საკითხის მოგვარების მიუხედავად, "ბარსელონის" ხელმძღვანელობა ახალი მთავარი მწვრთნელის საზოგადოების წინაშე წარდგენას არ ჩქარობს. ოფიციალური პირები ამის მიზეზად გვარდიოლას მოუცლელობას ასახელებენ. საქმე ის არის, რომ სენიორ ხოსეპი "ბარსას" სათადარიგო გუნდს ავარჯიშებს და სანამ სეზონი არ დასრულდება სხვა საქმეებისთვის ვერ მოიცლის.

მიუხედავად ამისა, ცნობილი ხდება, რომ გვარდიოლა მომავალი სეზონის დაწყებამდე გუნდში სერიოზულ ცვლილებებს განახორციელებს. კატალონიელ ჟურნალისტებს თუ დავუჯერებთ, ახალი მთავარი მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში სულ მცირე 6 ფეხბურთელს შეცვლის. გამორიცხული არ არის, გულშემატკივრებმა სულაც რვა ცვლილება იხილონ. ბარსელონის რომელ ბარშიც არ უნდა შეხვიდეთ, ყველგან გეტყვიან, რომ ახალ გუნდში ვარსკვლავების სიმრავლე აღარ იქნება. წარსულში დარჩა ის დრო, როცა **ჟოან ლაპორტა** მეგავარსკვლავებზე აკეთებდა აქცენტს. ახლა შედარებით ნაკლები ავტორიტეტის მქონე, ეგრეთ წოდებულ მშრომელ ბიჭებს დაეყრდნობიან. ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ისინი უფრო მეტს იმუშავებენ და რაც მთავარია, თავდაუზოგავად ირბენენ. თურმე ლაპორტა პირად საუბრებში აცხადებს, რომ ბოლო ორი სეზონის განმავლობაში მის გუნდს სიზარმაცე ღუპავდა. პრეზიდენტს მაგალითად **რონალდინიოს** ინდეფერენტულობა მოჰყავს.



სეზონის დასრულებამდე ორი დღით ადრე ესპანურ პრესაში დაიწერა, რომ **ჩიკი ბეგირისტაინმა ვიქტორ ვალდესი** ტრანსფერზე დააყენა, თუმცა ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. პირიქით, გუშინ ითქვა, რომ ვალდესი კვლავ ძირითადი მეკარე იქნება. "ბარსას" ბოსებს მხოლოდ მისი დუბლიორის მოძებნა მოუწევთ. მოგეხსენებათ, **ჟორკერას** სერიოზული ტრავმა აწუხებს და მოედანს ოქტომბრამდე ვერ დაუბრუნდება. ბეგირისტაინს იმედი აქვს, რომ მაღალი დონის გოლკიპერის გადაბირებას შეძლებს.

ყველაზე დიდი ცვლილებები დაცვის ხაზშია მოსალოდნელი. რამდენიმე დღის წინათ კატალონიელებმა "მანჩესტერიდან" **ჟერარდ პიკე** შეიძინეს. ისინი ამითაც არ კმაყოფილდებიან და **დანიელ ალვეშისა** და **მარტინ კასერესის** გადაბირებასაც აპირებენ. კლუბთან დაახლოებული ჟურნალისტების მტკიცებით, ალვეშის ტრანსფერი მხოლოდ დროის საკითხია. "ელ მუნდო დეპორტივოს" ინფორმაციით, ლაპორტამ "სევილიის" ხელმძღვანელობასთან პრინციპულ შეთანხმებას მიაღწია. ახლა უმნიშვნელო დეტალების შეთანხმებაღაა საჭირო. ამის შემდეგ ბრაზილიელი ვარსკვლავი "ბარსას" მაისურს მოირგებს. ალვეშისა და კასერესის მოსვლის შემთხვევაში, დღის წესრიგში **რაფა მარკესის** გაყიდვის საკითხი დადგება. მართალია, გვარდიოლას მექსიკელი მცველი ძალიან მოსწონს, მაგრამ ბეგირისტაინი მიიჩნევს, რომ რაფა მეტისმეტად არასტაბილური მოთამაშეა და გუნდს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

ნახევარდაცვას რაც შეეხება, **იაია ტურე** სავარაუდოდ ისევ საყრდენის პოზიციაზე ითამაშებს. კვლავ "ბარსასთან" დაახლოებულ ჟურნალისტებს დავესესხებით და ვიტყვით, რომ ტურეს კონკურენტები ახლახანს გადაბირებული **კეიტა** და **ჩავი** იქნებიან. გამორიცხული არ არის, კატალონიელებმა "არსენალიდან" **გლებიც** დაიმატონ. ბელორუსი ნახევარმცველის ტრანსფერის შემთხვევაში კონკურენცია კიდევ უფრო გამძაფრდება. აღსანიშნავია, რომ ესპანური გიგანტი გლებთან თანამშრომლობით ძალიან სერიოზულადაა დაინტერესებული. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ გვარდიოლას მოსვლის შემდეგ **ანდრეს ინიესტას** ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა გაუჩნდება. არადა, საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს. ახალი ფეხბურთელების შეძენის შემთხვევაში სისტემატურად თამაშის გარანტია თვით ინიესტასაც არ ექნება. კაცს, რომელსაც არამარტო გულშემატკივრები, არამედ ყველაზე კრიტიკულად განწყობილი მიმომხილველებიც კი ეთაყვანებიან. შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ კატალონიურ მედიაში **დავიდ სილვას** შესაძლო ტრანსფერზეც სრული სერიოზულობით საუბრობენ.

ბუნებრივია, ცვლილებები თავდასხმის ხაზსაც შეეხება. ამ თავითვე შეიძლება ითქვას, რომ **ლეო მესი** ხელშეუხებელი ფიგურა იქნება. გვარდიოლას დიდი იმედი აქვს, რომ ჩიკი ბეგირისტაინი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ეფექტურად იმუშავებს და უახლოეს კვირებში **ადებაიორს** "კამპ ნოუზე" პრეზენტაციას მოუწყობს. უნდა ითქვას, რომ "არსენალის" ფორვარდი კატალონიელთა ერთ-ერთ უპირველეს სამიზნედ სახელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **სამუელ ეტოოს** დღეები დათვლილია. სხვათა შორის, მას "ინტერი" ეპატიჟება. **მასიმო მორატის** დეკუს შეძენაც სურს, მაგრამ იტალიელ მილიარდერს ორი ფეხბურთელის სანაცვლოდ მოთხოვნილი 50 მილიონი ევრო ძალიან ეძვირება და ესპანელ კოლეგებს საკმაოდ საინტერესო წინადადებას სთავაზობს. თუ სატრანსფერო თანხას შეამცირებთ, ფულთან ერთად **ადრიანოსაც** მოგცემთო. ბეგირისტაინი ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ჯერ ლაპორტას შეხვდება, შემდეგ კი შესაძლოა, მილანს გაემგზავროს. ჯერჯერობით, უცნობია, რა ბედი ელის **ტიერი ანრის**. მოარული ხმების თანახმად პეპ გვარდიოლა ფრანგ ფორვარდს სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელად მოიაზრებს. თუ ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდება, ანრი, ალბათ, კლუბის გამოცვლაზე სერიოზულად დაფიქრდება. ძნელი წარმოსადგენია, ტიერი სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პერსპექტივით მოიხიბლოს.

დაგვეთანხმებით, კატალონიურ გრანდში მართლაც სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. ჩვენი აზრით, ლაპორტა დიდ რისკზე მიდის. სარისკოა, თავად გამოუცდელი გვარდიოლას მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნაც. ეს ნაბიჯი პრეზიდენტმა მარტივად ახსნა, პეპი სულით ხორცამდე ბარსელონელია და ჩვენს გუნდს ძველებურ იერს დაუბრუნებსო. ამ არგუმენტს არსებობის უფლება აშკარად აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ გვარდიოლას მიერ დაგეგმილი ცვლილებები "ბარსას" ტრადიციას ძირფესვიანად ეწინააღმდეგება. ზემოთაც ვთქვით, რომ კატალონიელები ეგრეთ წოდებულ მშრომელ ფეხბურთელებზე აკეთებენ აქცენტს, "კამპ ნოუს" გულშემატკივრებს კი ოდითგანვე ვარსკვლავების თამაშის ყურება უყვართ...

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ული ჰიონესთან

# იქნებ, არც არავინ ვიყიდოთ

## ბაიერნის მენეჯერი ისევ ფულის დაზოგვაზე ფიქრობს

**მიუნხენის "ბაიერნი" ინდოეთიდან დაბრუნდა. რეკორდმაისტერის ფეხბურთელები ისვენებენ, ხელმძღვანელები კი მომავალი სეზონისთვის მზადებას იწყებენ და ტრანსფერებზე ფიქრობენ. შარშან "ბაიერნმა" ტრადიცია დაარღვია და ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე გუნდისთვის სარეკორდო თანხები დახარჯა. რას აპირებენ ბავარიელები ამჯერად? "ბილდი" მიუნხენური გრანდის გენერალურ მენეჯერ ული ჰიონესს გაესაუბრა.**

**- ჰერ ჰიონეს, აზიური შეკრების დროსაც კი სულ მობილურ ტელეფონზე ლაპარაკობდით. ალბათ უამრავი შეხვედრა დაგეგმეთ და არაერთი საკითხი გადაწყვიტეთ. არ დაიღალეთ?**

- რა თქმა უნდა, ძალიან დავიღალე. საკუთარ თავს ვატყობ, რომ ცოტაც და გავითიშები. ფაქტია, რომ გასული სეზონი ძალიან დამღლელი იყო. მეც ადამიანი ვარ და დასვენება მესაჭიროება. ასე რომ, თუკი სასწრაფოდ პაუზა არ გავაკეთე, გადავიწვები. გადაწყვეტილი მაქვს, რომ ივნისში არაფერი ვაკეთო გარდა იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატს მივადევნებ თვალს.

**- აზიური ტურნეს შემდეგ რა დასკვნები გააკეთეთ?**

- აზიას "ბაიერნისთვის" ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ვფიქრობ, ამით ახალს არაფერს ვამბობ. მთავარია, იქ ჩავიდეთ ხოლმე, სადაც ყველაზე მეტად სურთ ჩვენი ნახვა. კალკუტაში ჩვენს თამაშს 120 000 მაყურებელი დაესწრო და ეს უდიდესი რიცხვია. აზიურ ბაზარზე დღეს ყველაზე პოპულარული ინგლისური ფეხბურთია და ძალიან მინდა, რომ სულ მალე ინგლისელებს გავუთანაბრდეთ, მაგრამ ეს აშკარად შორეული პერსპექტივაა. უბრალოდ, მუდმივად აქტიურები უნდა ვიყოთ და ჩემი აზრით, ამას ვახერხებთ კიდეც.

**- ოლივერ კანი და ოტმარ ჰიტცფელდი გუნდს უკანასკნელად გაჰყვნენ ტურნეზე. როგორ ფიქრობთ, ამ პიროვნებების შეცვლა ამ თვალსაზრისით შესაძლებელია?**

- ჰიტცფელდისა და კანის წასვლა "ბაიერნისთვის" უდიდესი დანაკლისია, ისინი შეუცვლელები არიან. კანმა "ბაიერნში" 14 წელიწადი ითამაშა და თქვენ როგორ ფიქრობთ, მისი შეცვლა შესაძლებელია? მე ვფიქრობ, რომ ეს კითხვა არც უნდა დასმულიყო. ჰიტცფელდმა კი არაერთი ტიტული მოიგო. ამ დუეტს ვერავინ შეედრება.

**- იურგენ კლინსმანმა ყველაფერი ისე უნდა გააკეთოს, როგორც ჰიტცფელდი აკეთებდა? მასაც ხომ უნდა ტიტულების მოგება...**

- კლინსმანი სულ სხვა ტიპია და ჰიტცფელდისგან კარდინალურად განსხვავდება. ფატალური, მიუღებელი და ნამდვილი საშინელება იქნებოდა ის, რომ იურგენმა ჰიტცფელდის სტილის კოპირება სცადოს. ეს ჩვენ ნამდვილად არ გვინდა და ზუსტად ვიცი, რომ არ უნდა თვითონ კლინსმანსაც. მას თავისი გზა აქვს და ამ გზას უნდა გაჰყვეს. იგივეს ვეტყოდი მიხაელ რენზინგსაც, რომელმაც ოლივერ კანი უნდა შეცვალოს, რაც ძალიან მძიმე მისიაა. ფაქტია, რომ რენზინგს კანის შეცვლა გაუჭირდება და ამაზე არც არავინ დავობს. მაგრამ მიხაელი ახალგაზრდა და ნიჭიერი მეკარეა. მე მისი მეიმედება.

**- კიდევ ვისი იმედი გაქვთ?**

- მაგალითად, ტიმ ბოროვსკის, რომელიც "ვერდერიდან" გადმოვიბირეთ და რომელიც გერმანიის ნაკრების ფეხბურთელია. იცით, მე არ ვფიქრობ, რომ აუცილებელია, ახალი ფეხბურთელები ყოველ წელს ვიყიდოთ. ძალიან გვინდოდა მილანელი ჯენარო გატუზოს შეძენა, რადგან ის "ბაიერნისთვის" ზედგამოჭრილი ფეხბურთელი იქნებოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ახლა აზრი არა აქვს იმის თქმას, რომ რაკი გატუზოს ტრანსფერი ჩაიშალა, ვიყიდით სხვას, იმიტომ, რომ ვინმე უნდა ვიყიდოთ. შარშან ამდენი ფული იმიტომ დავხარჯეთ, რომ გუნდს ახალი სისხლი სჭირდებოდა და გამოჩნდა კიდეც, როგორ გაგვაძლიერეს იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც ერთი წლის წინათ ვიყიდეთ. ამჯერად უკვე სხვაგვარადაა საქმე. გუნდი ფაქტობრივად დაკომპლექტებულია. ვფიქრობ, არანაირი პრობლემა არ იქნება ის, რომ მომავალი სეზონიც ამ შემადგენლობით დავიწყოთ.

**- საკმარისად ძლიერია ეს "ბაიერნი" იმისათვის, რომ ჩემპიონთა ლიგაში ინგლისურ, ესპანურ და იტალიურ კლუბებს ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიოს? ხომ არ გავიწყდებათ "ზენიტთან" მატჩი?**

- კაკა "ჩელსიში" გადადისო, კრისტიანო რონალდო "რეალშიო"... საკმარისია, ამ სპეკულაციებს თვალი გადაავლო, რომ ნორმალურ ადამიანს სერიოზულად შეგეშინდება. ჩვენ ვეცდებით, რომ ჩვენი გზა გავაგრძელოთ და სხვებს ამ გიჟურ ამბებში არ ავყვეთ. აი, ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, უახლოეს სამ წელიწადში ევროპის კლუბების საუკეთესო ხუთეულში უნდა შევიდეთ...

**გოტფრიდ ლენცი**



ული ჰიონესი

პრემიერლიგა. ფინანსური ანგარიში

# ყველა შემოსავლიანი, მაგრამ ნაკლებად მომგებიანი

## აუდიტორთა მტკიცებით, ბუნდესლიგაში გაცილებით დიდი მოგების ნახვა შეიძლება...



მანჩესტერ იუნაიტედი ერთ-ერთია იმ კლუბებს შორის, რომელსაც ასტრონომიული დავალიანება აქვს

ინგლისური კლუბები ფეხბურთელთა ხელფასებზე იმდენს ხარჯავენ, რომ მფლობელებისათვის სულ უფრო ნაკლები მოგება მოაქვთ. თუმცა ამავე დროს, ევროპაში სხვებზე მეტ წარმატებას აღწევენ. ასეთ დასკვნას აკეთებს აუდიტორული კომპანია "დელოიტ ენდი ტუში". მან ევროპული ფეხბურთის ყოველწლიური ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნა.

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, სამი ინგლისური კლუბი გავიდა. წინა წელთან შედარებით, ინგლისური ფეხბურთის შემოსავალმა 11 პროცენტით მოიმატა, მაგრამ საშუალო მაჩვენებლით, პრემიერლიგა ბუნდესლიგაზე ნაკლებად მომგებიანია.

ბილეთებისა და საკვები პროდუქტების რეალიზაციით, აგრეთვე კომერციული საქმიანობით, პრემიერლიგის 20-მა გუნდმა ერთად 3.3 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა. მაგრამ სახელფასო ფონდი წინა წელთან შედარებით 13 პროცენტით გაიზარდა და 2.77 მილიარდ დოლარს მიაღწია. პრემიერლიგის სახელფასო ფონდი 75 პროცენტით აღემატება პრიმერა დივიზიონის, ბუნდესლიგის და ასე განსაჯეთ, იტალიის სერია A-ს სახელფასო ფონდსაც კი.

მას შემდეგ, რაც ინგლისურ კლუბებში სოლიდური ამერიკული ინვესტიციები განხორციელდა, ანალიტიკოსები ელოდნენ, რომ კლუბების მოგებაც საგრძნობლად გაიზრდებოდა, რომ ამერიკელები უფრო ეკონომიურად დახარჯავდნენ ფულს, რათა ინვესტიციები მაქსიმალურად მოკლე დროში ამოეღოთ.

მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. ტრადიცია უცვლელია. ყოველი დამატებითი შემოსავალი ისევ ტრანსფერებში იდება. გუნდების მფლობელები რეალურ მოგებას, როგორც ჩანს, მაშინ ნახავენ, როცა კლუბებს ბევრად მაღალ ფასში გაყიდიან. ბოლო წლებში შეძენილი ნებისმიერი კლუბი დღეს იმაზე მეტი ღირს, ვიდრე ერთი და ორი წლის წინ ღირდა.

კიდევ რამდენიმე საინტერესო დეტალი ინგლისური ფეხბურთის ფინანსური ანგარიშიდან. მარტო პრემიერლიგაში სახელფასო ფონდის მოცულობამ 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ერთი წლის წინათ ის 700 მილიონი იყო. რა გასაკვირია, რომ ინგლისური კლუბები მსოფლიოს უმდიდრესი კლუბების რეიტინგში ყველაზე მრავლად არიან წარმოდგენილნი.

ინგლისის ოთხი დივიზიონის საერთო შემოსავალმა ამ სეზონში 2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. აქედან ლომის წილი, რა თქმა უნდა, პრემიერლიგაზე მოდის - 1.5 მილიარდი. მკვეთრად გაიზარდა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის შემოსავალიც. სხვაობამ წინა წელთან შედარებით 500 მილიონი დოლარი შეადგინა.

მაგრამ შემოსავლის ზრდა მოგების ზრდას არ ნიშნავს, რადგან გუნდები ზედმეტ თანხას არ ინახავენ და ფეხბურთელთა ხელფასებსა და ტრანსფერებში გულუხვად ხარჯავენ. ანალიტიკოსები შიშობენ, რომ თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, რამდენიმე წელიწადში პრემიერლიგაში მოგება ნულს გაუტოლდება. შედეგად, არა ერთი კლუბი ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდება, გარდა იმ კლუბებისა, რომლებსაც მილიარდერი მფლობელები ჰყავთ და ვისთვისაც საფეხბურთო კლუბები შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენს.

შემაშფოთებელი სიგნალი უკვე სახეზეა. პრემიერლიგის კლუბების უმეტესობამ ახალი სატელევიზიო კონტრაქტით გათვალისწინებული შემოსავლის დიდი ნაწილი წინასწარ, ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს დახარჯა - იქამდე, სანამ მათ ამ თანხას გადაურიცხავდნენ. ახლა, როდესაც კლუბებს ფულს მიუთვლიან, მათ ვალების დაფარვაზე მოუწევთ ზრუნვა.

განვლილ სეზონში სუფთა მოგება პრემიერლიგის მხოლოდ რვა კლუბს ჰქონდა. გუნდების დავალიანება წინა წელთან შედარებით 19 პროცენტით გაიზარდა და 2.4 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ თანხის ნახევარი "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ჩელსიზე" მოდის - "იუნაიტედის" ბოსები კლუბის შეძენისას აღებულ სესხებს ისტუმრებენ, "ჩელსის" კი ბიუჯეტი ტრადიციულად გარღვეული აქვს, მაგრამ **რომან აბრამოვიჩი** ჯერჯერობით დიდსულოვნად აფინანსებს მას.

ინგლისის ჩემპიონშიფში, რომელიც პრემიერლიგაზე ერთი საფეხურით დაბალი ლიგაა, კლუბების დავალიანება 289 მილიონ დოლარს შეადგენს. დივიზიონის ოცი კლუბიდან ათს 10 მილიონ დოლარი და მეტი ვალი აქვს. ამ ვალების გასტუმრების საუკეთესო საშუალებაა პრემიერლიგაში აღზევებაა, მაგრამ პრემიერლიგა უფრო მეტი ხარჯის გაწევისა და ვალის გაზრდის საფრთხეს შეიცავს.

### ერაყი აღარ დაისჯება

ფიფამ ერაყს საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის უფლება დართო. აზიის ჩემპიონები პეკინის ოლიმპიადაზეც უპრობლემოდ გაემგზავრებიან. იქამდე კი, კვირას, ავსტრალიის ნაკრებთან მუნდიალის შესარჩევ თამაშს ჩაატარებენ. ერაყს დისკვალიფიკაცია სამშაბათს მიესაჯა. მიზეზი ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო. ერაყის მთავრობამ უფლებამოსილება შეუწყვიტა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ყველა სპორტულ ფედერაციას ფეხბურთის ფედერაციის ჩათვლით. ფიფას კანონმდებლობა ხელისუფლებას ფედერაციის მუშაობაში ჩარევას კატეგორიულად უკრძალავს. ამიტომ სანქციამ არ დააყოვნა. ერაყის მთავრობას მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო ხუთშაბათ სალამომდე მიეცა. ვადის გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე ფიფამ ბაღდადიდან ოფიციალური წერილი მიიღო. მასში ეწერა, რომ ფეხბურთის ფედერაციას უფლებამოსილება სრულად აღუდგა. ფიფას აღმასკომსაც ისღა დარჩენოდა, საკუთარი ვერდიქტი გაეუქმებინა. ერაყის ნაკრები ავსტრალიაში ოთხშაბათს, საღამოს ჩაფრინდა, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელი გაუქმებული ჯერაც არ იყო. ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა 7 ივნისს, დუბაიში გაიმართება. ერაყელები საშინაო თამაშებს არაბთა გაერთიანებულ საემიროებში მართავენ.

### სისეს გული ინგლისისაკენ მიუწევს

**ჯიბრილ სისე** ინგლისში დაბრუნებას აპირებს. 26 წლის თავდამსხმელი საფრანგეთის ნაკრებში ისევ ვერ მოხვდა. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე ის თანაგუნდელთან ჩხუბის გამო არ წაიყვანეს, 2006 წლის მუნდიალზე - მძიმე ტრავმის გამო, რომელიც ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შეემთხვა. წლეულს კი **რაიმონ დომენეკმა** სისეს ნაცვლად, **ბაფეტიმბი გომისი** გამოიძახა. გომისი "სენტ ეტიენში" თამაშობს. სამშაბათს, ეკვადორთან ამხანაგური მატჩისას, ის სისეს ნაცვლად გამოვიდა და ორი გოლი შეაგდო (2:0). მისი დუბლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. ჯიბრილს მაყურებელმაც გამაყრუებელი სტვენა აუტეხა. გულგატეხილმა ფეხბურთელმა აგენტს ინგლისურ კლუბებთან დაკავშირება დაავალა. სისე "მარსელში" 2005 წლის ზაფხულში, "ლივერპულიდან" გადავიდა. სპეკულაციების თანახმად, მისი შეძენა "ბოლტონსა" და "მანჩესტერ სიტის" სურთ. ჯიბრილმა გასული სეზონი 15 გოლით დაასრულა.

### მაიკროსოფტი ფეხბურთით დაინტერესდა

გაისად MLS-ში სიეტლის კლუბი "საუნდერსი" ითამაშებს. მისი გენერალური სპონსორი კომპანია "მაიკროსოფტი" იქნება. "საუნდერსის" მაისურაზე კომპანიის უახლესი პროდუქტის, Xbox-ის რეკლამა გამოჩნდება. მხარეები ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებენ, რისი წყალობითაც სიეტლური კლუბი 20 მილიონ დოლარს მიითვლის. საუნდერსის ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისათვის დიდი ამბით ემზადება. პრესსამსახურში აცხადებენ, რომ მიღებულია განაცხადი 16 ათასი სეზონური ბილეთის თაობაზე. თუ ამ ტემპით გაგრძელდა, "საუნდერსს" მთელ MLS-ში ყველაზე მეტი სეზონური აბონემენტის მფლობელი ეყოლება. ეს კი თამაშებზე გარანტირებულ დასწრებასა და გარანტირებულ შემოსავალს ნიშნავს. კლუბის გენერალური მენეჯერი ევროპელი და სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების ტრანსფერებზე მუშაობს. საუნდერსი მინიმუმ ერთი მსოფლიოს დონის ვარსკვლავის შეძენას გეგმავს.

### ბერგერი სპარტაში დაბრუნდა

ჩეხი ნახევარმცველი **პატრიკ ბერგერი** "ასტონ ვილიდან" პრაღის "სპარტაში" გადავიდა. 34 წლის ფეხბურთელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. ბერგერმა ფეხბურთის თამაში ამ კლუბში დაიწყო, თუმცა პირველი პროფესიული კონტრაქტი 1991 წელს, თანაქალაქელ "სლავიასთან" გააფორმა. ფეხბურთელმა ბირმინგემში სამი სეზონის განმავლობაში სხოლოდ შვიდჯერ ითამაშა. იანვრის ტრანსფერებისას მისი და "ვილის" ურთიერთობა უკიდურესად გართულდა. პატრიკმა თანაგუნდელ **გარეთ ბერის** საჯაროდ ურჩია "ასტონ ვილიდან" "ლივერპულში" გადაბარგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი. გამოხმაურება რობერტო მანჩინის გადადგომაზე

# მანჩინი: მორატი, თქვენ მატყუარა ყოფილხართ!

## იბრაჰიმოვიჩი პრეზიდენტის გადაწყვეტილებით კმაყოფილია

ამ დღეებში ჟოზე მოურინიო "ინტერს" ოფიციალურად ჩაიბარებს. მანამდე კი **რობერტო მანჩინიმ** და **მასიმო მორატიმ** ერთმანეთზე დაგროვილი ბოღმა ამოანთხიეს. პოპულარულმა გამოცემა "ილ ჯორნალემ" მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის ბოლო სატელეფონო საუბრის ჩანაწერი გამოამზეურა. ნამდვილია თუ არა ეს ჩანაწერი, კაცმა არ იცის, თუმც გაზეთი სერიოზულია. ეჭვი კი იმიტომ დაგვებადა, რომ მანჩინის გაშვება მორატისთან სამშაბათის 20-წუთიანი აუდიენციისას გადაწყდა. ამ შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსულმა მანჩინიმ იქაურობა უკომენტაროდ დატოვა. სწორედ ამის მერე გაირკვა, რომ ის მოხსნეს და არა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ...



გუშინ, მანჩინიმ ინტერვიუ მისცა "რადიო რადიოს", რომელშიც პრეზიდენტს მატყუარა უწოდა: *"მას ჯერ კიდევ იანვარში უნდოდა ჩემი გაშვება. მთელი სამი თვის განმავლობაში მატყუებდა, მაგრამ მისთვის არასოდეს არაფერი მიგრძნობინებია"*.

მანჩინის წასვლით გაკვირვებულია მისი ასისტენტი და მეგობარი (ისინი ერთად თამაშობდნენ "სამპდორიასა" და "ლაციოში") **სინიშა მიხაილოვიჩი**. სერბი ამბობს, რომ მორატისგან ამ გადაწყვეტილებას არ ელოდა: *"ნამდვილად ვერ დავეთანხმები იმას, რაც მოხდა. არ ველოდი, თუ მორატი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა. მანჩინის შეეძლო "ინტერთან" ერთად იმ გზის გაგრძელება, რაც თავიდან აირჩია და სამი სკუდეტოც მოიგო. ჩვენ გვაკლდა წარმატებები ევროპაში, მაგრამ ორისამი სერიოზული ტრანსფერის შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგასაც მოვიგებდით. ძალიან, ძალიან ცუდია... რობერტო სერიოზულადაა ნაწყენი პრეზიდენტზე. როგორც კი მორატიმ თავისი გადაწყვეტილება ამცნო, მაშინვე დამირეკა და მითხრა. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არასწორი გადაწყვეტილებაა"*.

საპირისპიროა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** განწყობა. შვედ ფორვარდსა და მანჩინის შორის ურთიერთობას ნორმალური ნამდვილად არ ეთქმოდა, პირიქით, თვენახევრის წინათ, ერთ-ერთი მატჩის დროს, შეცვლით უკმაყოფილო "იბრამ" მწვრთნელს პრესის საშუალებით უსაყვედურა. სპეციალისტებმა კი გაშიფრეს სიტყვები, რომელიც სათადარიგოთა სკამისკენ მიმავალმა ზლატანმა ჩაილაპარაკა: უკეთესი იქნება, თუ სეზონის ბოლოს მართლა წახვალო! დავაზუსტებთ, რომ ეს მოხდა მას მერე, რაც "ლივერპულთან" წაგების შემდეგ მანჩინიმ ჩემპიონატის ბოლოს "ინტერიდან" წასვლის განცხადება გააკეთა, მერე კი გადათქვა. "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში იბრაჰიმოვიჩმა პრეზიდენტს ნაბიჯი მოუწონა:

*"ეს მორატის გადაწყვეტილებაა, ის არის პრეზიდენტი, ის წყვეტს ამგვარ საკითხებს და ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სინიორ მასიმო მართალია. მოურინიო? ის დიდი მწვრთნელია. ეს ყველამ იცის"*.

ცნობილია, რომ მანჩინის წინააღმდეგ მორატის ერთ-ერთი არგუმენტი გუნდის შიგნით არსებული უთანხმოებაა. ის ამაში მწვრთნელს ადანაშაულებს და თუ ამგვარი რამ მართლაც ხდებოდა, მაშინ, პრეზიდენტი გარკვეულწილად მართალი ყოფილა. იბრაჰიმოვიჩი კი გვარწმუნებს, რომ ფეხბურთელებს შორის სრული ჰარმონიაა - ეს არის ერთი ოჯახი, რომელიც ბედნიერად ცხოვრობსო. ეტყობა, მანჩინი უშლიდათ ხელს. ახლა, "იბრას" მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა, უკვე მოურინიოსთან ერთად.

განსხვავებულია **დეიან სტანკოვიჩის** აზრი: *"90 პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ მანჩინი დარჩებოდა. ჩემი აზრით, მისი ციკლი არ დასრულებულა. მან სამი სკუდეტო და ოთხი თასი მოიგო. დიდი კლუბი მხოლოდ მაშინ ცვლის მწვრთნელს, როცა ჩავარდნა აქვს, მაგრამ არა ზედიზედ სამი ჩემპიონობის შემდეგ. თუმცა ამ ყველაფრის მიზეზი უშუალოდ მანჩინისა და პრეზიდენტ მორატის შორის არსებული უთანხმოებაა. ეს არის და ეს"*.

ახლა კი სატელეფონო ჩანაწერი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ:

**მორატი:** გამარჯობა, რობერტო! როგორ ხარ?

**მანჩინი:** გმადლობთ, მშვენივრად...

**მორატი:** ოჯახი როგორ არის?

**მანჩინი:** გმადლობთ, კარგად...

**მორატი:** რობერტო, იცი... ცუდი ამბავი უნდა გითხრა...

**მანჩინი:** ვიცი, რაც უნდა მითხრათ.

**მორატი:** სამწუხაროდ, უნდა გაგიშვა, სხვა გზა არ მაქვს.

**მანჩინი:** არა, რასაც მეუბნებით, თქვენი პირადი სურვილია. ეს სხვადასხვა რამ არის...

**მორატი:** ასე ნუ იტყვი. შენ იცი, მე ვესაუბრე გუნდს და არ არის კარგი სიტუაცია. ასე რომ, უკეთესი იქნება, თუ ამ სიტუაციას შევცვლით.

**მანჩინი:** გუნდი არაფერ შუაშია. თქვენ ჯერ კიდევ იანვარში დაუკავშირდით მოურინიოს და სამსახური შეჰპირდით...

**მორატი:** არა, არა... ეს არ არის ის, რასაც შენ ფიქრობ.

**მანჩინი:** არაააა! უამრავ ისტორიას მიყვებოდით ამ ხნის განმავლობაში და აღმოჩნდა, რომ მატყუებდით. მე ყოველთვის სწორად ვიქცეოდი, ტყუილი არასოდეს მითქვამს. ვერ ვიგებ თქვენს გადაწყვეტილებას...

**მორატი:** არ გინდა ახლა... რას ლაპარაკობ?! მისმინე...

**მანჩინი:** რას ვუსმინო? თქვენ სკუდეტოც კი არ გაგიხარდათ...

**მორატი:** დაწყნარდი და მშვიდად მესაუბრე...

**მანჩინი:** რაკი სამსახურიდან მიშვებთ, განაწყენებულიც არ უნდა ვიყო და კიდევ უნდა გისმინოთ?

**მორატი:** არ გვინდა ასე... სჯობს, კარგ კომპენსაციაზე შევთანხმდეთ.

**მანჩინი:** არ მაინტერესებს ეს თქვენი "კარგი კომპენსაცია". ოთხწლიანი კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფასი უნდა გადამიხადოთ, მეტი არაფერი. თქვენგან ერთი ევროც კი არ მინდა ზედმეტი. ამ თემაზე აღარ ვისაუბრებ, ჩემი ადვოკატები დაგიკავშირდებიან და იმათთან გაარკვიეთ ყველაფერი...

ცნობისთვის, კომპენსაციის სახით, მანჩინი დაახლოებით 30 მილიონ ევროს ელოდება. შევადაროთ ერთმანეთს: 3-წლიანი ხელშეკრულების ძალით, მოურინიო 27 მილიონ ევროს მიიღებს.

ინტერვიუ ხავიერ ძანეტისთან

# მძიმე სიტუაციებში ჩვენ ყოველთვის ვახერხებდით ერთ მუშტად შეკვრას

## არგენტინელი კაპიტანი დარწმუნებულია, რომ რომას კარში გატანილმა მისმა გოლმა ინტერი დეპრესიისგან იხსნა

**იტალიის ჩემპიონატი "ინტერის" დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა. მართალია, შავ-ლურჯებს ფინიშამდე გაცილებით ადრე შეეძლოთ, მშვიდად ყოფილიყვნენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ბოლო დღეს მოპოვებული ჩემპიონობა უფრო გემრიელია. ამ გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი მისი კაპიტანი ხავიერ ძანეტია, რომელიც დიდი ხანია კლუბის სიმბოლოდ იქცა. ამ ინტერვიუში არგენტინელი ვეტერანი განვლილ სეზონს აჯამებს. აქვე განვმარტავთ, რომ ძანეტისა და "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტის საუბარი რობერტო მანჩინის გადაყენებამდეა ჩაწერილი...**

**- "ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ აღიარა, რომ 18 მაისს, კლუბის სათავეში ყოფნის 13-წლიან ისტორიაში, ყველაზე ლამაზი და ემოციური მომენტები გადაიტანა...**

- ვეთანხმები პრეზიდენტს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რამხელა ძალა და ენერგია შევალიეთ ამ ჩემპიონობას. ამბობენ, რაც უფრო ძნელად აღწევ გამარჯვებას, მით უფრო ტკბილია ის გრძნობები, რასაც მერე განიცდი. მართალია. მილანურ დერბიში დამარცხების შემდეგ, ერთი სული გვქონდა, როდის გავიფორმებთ ჩემპიონის ტიტულს.

**- "ინტერს" ბევრი ანტიპათიით უყურებდა. რატომ?**

- გუნდები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობენ და პოზიციებს ერთი დღითაც არ თმობენ, ბეზრდება ხალხს და ეს იწვევს სწორედ გარკვეულ ანტიპათიას. მესმის ამ გრძნობების. ორი წელიწადია, ვდომინირებთ და ვერავინ იტყვის, რომ ეს დაუმსახურებელია. რაც შეეხება სხვა ფაქტორებს, "კალჩოპოლის" სკანდალში ჩვენი გარევის მცდელობა ფუჭია და მეტი არაფერი. "ინტერი" სუფთაა. უნდა ვაღიაროთ, რომ ზომები, რომელიც იტალიური ფეხბურთის მესვეურებმა იმ სკანდალის შემდეგ გაატარეს, დიდწილად ეფექტური აღმოჩნდა და ეს კალჩოს იმიჯსაც დაეტყო.

**- გამოდის, ამ სკუდეტოს მოპოვებაში ისიც დაგეხმარათ და სტიმული მოგცათ, დაუმსახურებლად რომ გაკრიტიკებდნენ?**

- არ მინდა ახლა ამაზე საუბარი, არც ნიშნის მოგება და არც ვინმეს მიმართ შურისძიება. ეს ჩვენს გამარჯვებას გააუფასურებს. რა თქმა უნდა, კრიტიკა ბევრისთვის სტიმულია, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს. მთავარი იყო გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვა და ფანტასტიკური საბრძოლო სულისკვეთება. მძიმე სიტუაციებში ჩვენ ყოველთვის ვახერხებდით ერთ მუშტად შეკვრას.

**- მაგრამ შარშანდელ გამარჯვებას გულშემატკივრები მთელი 18 წელიწადი ელოდნენ. მაინც რომელი სკუდეტოა უფრო ძვირფასი და ლამაზი?**

- ეს ორი სხვადასხვა ისტორიაა. შარშან, დიდი უპირატესობით გავიმარჯვეთ. ამ სეზონში კი ტიტული შევინარჩუნეთ იმ გუნდთან ჭიდილში, რომელსაც ასევე სერიოზული შანსი ჰქონდა და რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაძლიერდა.



**- დიახ, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ზამთარში 11 ქულით იყავით წინ. რა იყო ამ უპირატესობის გაფლანგვის მიზეზი?**

- ზოგიერთ მატჩში შანსი უკეთ უნდა გამოგვეყენებინა. მაგალითად, ნეაპოლში თამაშისთვის ვერ განვეწყვეთ. ეს უნდა ვაღიაროთ. ან თუნდაც "ჯენოასთან" შეხვედრა ავიღოთ, როცა სრულიად უწყინარ ვითარებაში 10 კაცით დავრჩით. აღარაფერს ვამბობ "სიენასთან" ბოლოსწინა ტურის მატჩზე, რომელშიც ჩვენი ხელით გავირთულეთ სიტუაცია. 2:2-ის შემდეგ 20 წუთი გვქონდა დრო გამარჯვებისთვის, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა.

**- თქვენი აზრით, რომელი იყო სეზონის ყველაზე რთული მომენტი?**

- ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა. ეს იყო უდიდესი იმედგაცრუება და გათავისება იმისი, რომ სერია A-ში კიდევ 11 მატჩი გვქონდა ჩასატარებელი და ამ მატჩებში უდიდესი წნეხის ქვეშ უნდა ვყოფილიყავით. უბრალოდ, ჩვენ აღარ გვქონდა სკუდეტოს დაკარგვის უფლება.

**- და რომელი იყო საკვანძო მატჩი, ან საკვანძო შედეგი?**

- "პალერმოსთან" გამარჯვება, რომელიც "ლივერპულთან" მარცხს მოჰყვა. სწორედ ამ მარცხის შემდეგ დავრწმუნდით, რომ "ინტერს" მართლაც დიდი ძალა და რესურსი აქვს.

**- რას იტყოდით "რომას" კარში თქვენ მიერ გატანილ გოლზე, რომელმაც "ინტერს" ფრე მოუტანა?**

- სხვათა შორის, "პარმასთან" გადამწყვეტი მატჩის წინაც გამახსენდა... ამ გოლს კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს რომ არა, დეპრესია გარდაუვალი იქნებოდა. ჩვენ ხომ უშუალო კონკურენტს ვეთამაშებოდით და ასეთ დროს, საშინაო მარცხი გუნდზე მეტისმეტად ნეგატიურად იმოქმედებდა.

**- ხომ არ გაგალიზიანათ "რომას" ნახევარმცველ დე როსის განაცხადებამ იმასთან დაკავშირებით, თითქოს ჩემპიონატი ფალსიფიცირებული იყო?**

- პირველი, რაც თავში მომივიდა, "რომასთვის" მილოცვის სურვილი იყო, რადგან ასეთი კარგი ჩემპიონატი დიდი ხანია არ გვქონია. და მეორეც: აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არც "ინტერი" და არც "რომა" დამატებითი მხარდაჭერითა და კეთილგანწყობით არ სარგებლობდნენ.

**- სხვათა შორის, ზოგმა გაგაკრიტიკათ იმის გამო, რომ დაეხმარეთ მატერაცის, კრუსისთვის ბურთი წაერთმია და პენალტი (რომელიც მატერაციმ ვერ გაიტანა და "ინტერს" სკუდეტო ერთი კვირით გადაუვადა - რედ) თავად დაერტყა... გახსოვთ ეს ეპიზოდი "სიენასთან" მატჩში? რა მოხდა რეალურად?**

- არავისაც არ დავხმარებივარ. ვიდრე ეს მოხდებოდა, რამდენიმე წუთით ადრე, მუხლზე მტკივნეული დარტყმა მომაყენეს და აზრზე მოსვლას ვცდილობდი, ამ ყველაფერს კი მოედნის ცენტრიდან ვუმზერდი და დავინახე, როგორ მიირბინეს მატერაცისთან და კრუსთან ვიეირამ და მაიკონმა... ვიფიქრე, გამოცდილი ბიჭები არიან და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენმეთქი... ამ ერთი ეპიზოდით კაპიტნის განსჯა არ შეიძლება. გადავხედოთ, რა ხდებოდა სეზონის განმავლობაში და ისე ვიმსჯელოთ.

**- თქვენ "ინტერის" ერთადერთი მოთამაშე ხართ, რომელმაც ჩემპიონატის ყველა, 38 მატჩში მიიღო მონაწილეობა...**

- ვამაყობ, რომ მოვიგე სკუდეტო და თან, იმ კლუბის კაპიტნის რანგში, რომელსაც ახლახან 100 წელი შეუსრულდა. ყველა მატჩში მონაწილეობა კი მაძლევს სტიმულს იმისთვის, რომ წინ ვიარო: კონტრაქტი 2010 წლამდე მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, მისი ვადის ამოწურვის შემდეგ კიდევ ორ წელიწადს ვითამაშებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. გერმანიის ნაკრები

# იღბლიანი ჯენტლმენები

## ოდონკორს ძაღლის ბედი აქვს, ნოივილს განსაკუთრებული თვისებები


ოლივერ ნოივილი


დავიდ ოდონკორი

დავიდ ოდონკორი პირველი იყო იმ ფეხბურთელების სიაში, რომლებსაც ჩვენი გერმანელი კოლეგები ევროპის ჩემპიონატის განაცხადიდან ამოშლას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა და მიუხედავად იმისა, რომ "ბეტისში" ძალიან ცუდი სეზონი ჩაატარა, ოდონკორი ავსტრია/შვეიცარიაში მიემგზავრება. ისევე, როგორც მიონხენგლადბახის "ბორუსიის" ვეტერანი თავდამსხმელი **ოლივერ ნოივილი**. ამ დუეტმა 2006 წლის მუნდიალზე საკმაოდ კარგად ითამაშა და ბუნდესმწვრთნელ **იოხიმ ლიოვს** იმედი აქვს, რომ ოდო და ოლი თავს ევრო 2008-ზეც გამოიჩენენ.

ყველა ფიქრობდა, რომ ლიოვი 26 კაციანი სიიდან, პირველ რიგში, სწორედ ოდონკორს ამოშლიდა, მაგრამ როგორც ჩანს, როცა "ბეტისის" მარჯვენა გარემარბმა ბელორუსის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში საგოლე პასი გააკეთა, იოგის მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი გაახსენდა, სადაც ოდონკორმა პოლონეთთან შეხვედრაში, 92-ე წუთზე ნოივილს ოქროს გოლი გაატანინა, რითაც გერმანელებმა მუნდიალის მერვედფინალში თამაში გაინაღდეს.

*"თავიდანვე ვთქვი, მაქსიმუმს გავაკეთებ იმისათვის, რომ მწვრთნელი ჩემს შესაძლებლობებში დავარწმუნო-მეთქი და აი, ეს შევძელი კიდეც,"* - აცხადებს ბედნიერი ოდონკორი, რომელსაც, როგორც იტყვიან, ძაღლის ბედი ჰქონია. არც 2006 წელს ელოდა ვინმე, რომ იმჟამინდელი ბუნდესმწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** დორტმუნდის "ბორუსიის" სათადარიგო გარემარბს მუნდიალზე წაიყვანდა და არც ახლა ელოდნენ, რომ ოდო გერმანიის ნაკრებში განაცხადში დარჩებოდა, რადგან მას ესპანეთის ჩემპიონატში ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ოდონკორი ისევ ილბლიანი გამარჯვებულია და თვითონაც პირდაპირ ამბობს, ჩემნაირი ბედი ბარე ორმა არ დაიკვეხნოსო. მართლაც, სევილიის "ბეტისში" მას ამ სეზონში ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია და ჩვენს გერმანელ კოლეგებს ისიც კი გაუკვირდათ, გაფართოებულ სიაში რომ მოხვდა. სამაგიეროდ, ბელორუსის ნაკრებთან, ნახევრად განელმა და ნახევრად გერმანელმა იმდენად კარგად ითამაშა, რომ ლიოვს მყისვე გადაწყვეტილება მიაღებინა - მის სასარგებლოდ.

გასულ სეზონში ოდონკორმა "ბეტისის" რიგებში 20 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ამასთან, სევილიურ კლუბში ის სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ცხრაჯერ გაამწესეს. საგოლე პასები? არცერთი! და მიუხედავად ამისა, ჯერ კლინსმანის, ახლა კი ლიოვის "საყვარელი" ფეხბურთელი მაინც ევროპის ჩემპიონატის განაცხადშია.

მეტსაც გეტყვით: ლიოვის თქმით, რაკი **ბერნდ შნაიდერი** ტრავმირებულია, ამ უკანასკნელის შეცვლა, **კლემენს ფრიტცთან** და **პიოტრ ტროხოვსკისთან** ერთად, ოდონკორსაც შეუძლია. ოდოს აქაც გაუმართლა - რომ არა შნაიდერის ტრავმა, ევრო 2008-ის განაცხადში ის ნაღდად ვერ მოხვდებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც მოულოდნელი იქნება ის, რომ იოგიმ ბეტისელი ძირითად შემადგენლობაში ათამაშოს ხოლმე. ოდონკორი უფრო ის კაცია, რომელიც გუნდის თამაშს მეორე ტაიმში, შეცვლაზე შესვლის შემდეგ გაამძაფრებს და თავისი იდეალური სისწრაფით, მეტოქე გუნდის ფლანგის მცველებს ააწიოკებს და სისხლს გაუშრობს. თუმცა ოდოს არც ჩაწოდება აქვს მაინცდამაინც კარგი და არც საგოლე ალღოთი გამოირჩევა.

ერთობ მოულოდნელი იყო ისიც, რომ ლიოვმა განაცხადში დატოვა ნოივილი, რომელმაც ეს სეზონი მეორე ბუნდესლიგაში ჩაატარა. თანაც, ვეტერანი თავდამსხმელი უკვე 35 წლისაა, მაგრამ იოგი ამბობს, მას, ისევე, როგორც ოდონკორს, განსაკუთრებული თვისებები აქვს, რის გამოც უარს ვერცერთ მათგანზე ვერ ვიტყოდიო.

ამრიგად, გერმანიის ნაკრების შემადგენლობიდან, "მინდვრის მოთამაშეებს" შორის ყველაზე ასაკოვანი სწორედ ნოივილია, ზოგადად კი, ყველაზე "ბებერი", მეკარე **იენს ლემანი** გახლავთ. სხვათა შორის, ევროპის 2000 და 2004 წლის ჩემპიონატების წინ ნოივილი განაცხადიდაი ბოლო მომენტში ამოიღეს, ახლა კი, ოცნება მასაც აუხდა და ბოლოს და ბოლოს კონტინენტის პირველობაზე იასპარეზებს.

*"ნოივილის შემთხვევაში ჩვენ ზუსტად ვიცით, ვინც მიგვყავს ევროპის ჩემპიონატზე. მის შესაძლებლობებში აქ ეჭვი არავის ეპარება. ნოივილი საჭირო კაცია,"* - ეს სიტყვები ბუნდესკაპიტან **მიხაელ ბალაკს** ეკუთვნის.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ნოივილი წარმოშობით შვეიცარიელი გახლავთ და ამიტომაც უხარია ევრო 2008-ზე გამგზავრება. *"ასკონა ჩემი სამშობლოა, იქ 18 წლის განმავლობაში ვცხოვრობდი. დედაჩემი და ჩემი და დღემდე იქ ცხოვრობენ. ჩემი თერთმეტი წლის ვაჟიც სკოლაში იქ დადის,"* - აცხადებს ვეტერანი თავდამსხმელი, რომელიც 3 ივნისიდან, მშობლიური სახლიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით იცხოვრებს...

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდი

# კლოპი რიკენის იმედია

## ჩემპიონთა ლიგის 1997 წლის ფინალის გმირი პირველ გუნდში დაბრუნებას ესწრაფვის


იურგენ კლოპი ციგლერსა და ვაიდენფელერს ენდობა...


...ლარს რიკენის ბედი კი ჯერჯერობით გაურკვეველია

დორტმუნდის "ბორუსიის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **თომას დოლმა** ერთი წლის წინათ BVB-ს ფანების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი **ლარს რიკენი** ძირითადი გუნდიდან მოკვეთა და უთხრა, შეგიძლია, ახალი კლუბი მოძებნოო. მაგრამ 31 წლის რიკენი ვესტფალიური კლუბის ერთგული დარჩა და მიუხედავად იმისა, რომ მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" ეპატიჟებოდნენ, მეორე ბუნდესლიგაში თამაშს რეგიონალლიგაში, ოღონდ ისევ დორტმუნდული კლუბის ფორმით ასპარეზობა ამჯობინა. გასული სეზონი 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირმა "ბორუსიის" მოყვარულთა გუნდში გაატარა და მართალია, ვერ შეძლო ის, რომ BVB-ს მოყვარულები რიგით მე-4 (მომავალი სეზონიდან მე-5) ლიგაში დაქვეითებისგან გადაერჩინა, სამაგიეროდ, რაკი დოლი გააგდეს, იმედი გაუჩნდა, რომ ახალი დამრიგებელი **იურგენ კლოპი** ძირითად გუნდში დააბრუნებს. ფაქტი ის გახლავთ, რომ "დორტმუნდის" ქომაგები რიკენის დაბრუნებას ნებისმიერ შემთხვევაში მიესალმებიან.

კლოპი ახლა შვებულებაშია და როდესაც დაბრუნდება, რიკენი მის კაბინეტს მიაშურებს და ჰკითხავს, მაქვს თუ არა დაბრუნების შანსიო. *"ფაქტი ის გახლავთ, რომ საუკეთესო საფეხბურთო ასაკში ვარ. თავს შესანიშნავად ვგრძნობ, ძალიან მონდომებული გახლავართ და მინდა, რომ დიდ ფეხბურთში დამაბრუნონ. დოლის ხელში ეს შეუძლებელი იყო და არ დაგიმალავთ, რომ ახალი მწვრთნელის იმედი მაქვს,"* - განუცხადა რიკენმა "ბილდს".

იმ შემთხვევაში, თუ კლოპი ლარსს უარს ეტყვის, გამოცდილი ნახევარმცველი გუნდის დატოვებას უკვე აღარ გამორიცხავს, რადგან მეხუთე ლიგაში თამაში ნამდვილად არ სურს. რიკენი: *"იმედი ბოლო წამამდე არ დავკარგე და სიმართლე გითხრათ, რეგიონალლიგაში იმიტომ ვითამაშე, რომ მჯეროდა, ოდესმე "ბორუსიის" პირველ გუნდში დამაბრუნებდნენ. თუკი კლოპი მეტყვის, რომ არც მას ვჭირდები, მაშინ უკანასკნელი იმედიც გადამეწურება. მე კი კარიერის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ და არ გამოვრიცხავ, რომ ასეთ შემთხვევაში სხვა კლუბს მივაშურო. აქვე დავამატებ, რომ ფინანსები ჩემთვის აბსოლუტურად უმნიშვნელოა. თუნდაც მიზერული ხელფასი მომცენ, BVB-ში თამაში ჩემთვის დიდი პატივი იქნება."*

დორტმუნდის ერთგული რიკენი გუნდში 18-თვიან პრაქტიკას გადის და ხელმძღვანელებისგან მიღებული აქვს დაპირება, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, მარკეტინგის განხრით დაასაქმებენ - ჩემთვის მთავარია, რომ "ბორუსიას" ვემსახუროო.

■ ■ ■

ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, კლოპმა გადაწყვიტა, რომ ახალი მეკარე არ სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი გოლკიპერი **რომან ვაიდენფელერი** მთელი მეორე წრის განმავლობაში ტრავმირებული იყო, ხოლო მეორე მეკარე **მარკ ციგლერმა** კი მისი ღირსეულად შეცვლა ვერ მოახერხა, ვესტფალიელები მომავალ სეზონშიც ამ გოლკიპერების იმედად იქნებიან. *"აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, მეკარის პოზიციაზე პრობლემები არ გვაქვს,"* - ეს სიტყვები სპორტულ დირექტორ **მიხაელ ცორკს** ეკუთვნის.

მაგრამ გასული სეზონი ამ მხრივ "ბორუსიისთვის" ნამდვილად პრობლემური იყო. ვაიდენფელერი თავიდან ცუდ ფორმაში გახლდათ, მერე კი სულაც დაიმტვრა და საოპერაციო გახდა, ციგლერმა თავიდან კი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე აურია და კატასტროფულ შეცდომებს უშვებდა. მიუხედავად ამისა, კლოპი ორივე მათგანს ნდობას უცხადებს.

ახალი მწვრთნელის თქმით, მისი მიზანია, რომ ვაიდენფელერმა ძველი დიდება დაიბრუნოს - იმდროინდელი, როცა ამ უკანასკნელს სულაც გერმანიის ნაკრების პოტენციურ კიპერად მოიაზრებდნენ.

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# რაფინია აბობოქრდა

## ბრაზილიელი: თუ ოლიმპიადაზე არ გამიშვებენ, გავგიჟდები!

ცოტა ხნის წინათ, "შალკეს" ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **რაფინია** სკანდალში გაეხვა - ერთ-ერთ წვეულებაზე კარგად გამოთრობის გამო, გელზენკირხენული კლუბის შეფებმა სოლიდური ჯარიმა გადაახდევინეს. ახლა კი, მორიგი სკანდალი გორდება. საქმე იმაშია, რომ "შალკეს" გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** რაფის ოლიმპიადაზე მონაწილეობა კატეგორიულად აუკრძალა, რამაც 22 წლის ფეხბურთელის გაბრაზება გამოიწვია.

*"თუკი მიულერი გადაწყვეტილებას არ შეცვლის და ოლიმპიადაზე თამაშის ნებას არ დამრთავს, "შალკეს" სერიოზული პრობლემები შეექმნება. იცოდეთ, ძალიან გავბრაზდები!"* - უთხრა რაფინიამ "ბილდს", - *"ოლიმპიადაზე ბრაზილიის ნაკრებში თამაში ჩემი დიდი ხნის ოცნებაა და არავის მივცემ იმის უფლებას, რომ ამ ოცნების ასრულებაში ხელი შემიშალოს. მე "შალკესთვის" თავი არასდროს დამიზოგავს ახლა მოვითხოვ, რომ ჩემი აზრიც გაითვალისწინონ."*

არადა, მიულერი სხვაგვარად ფიქრობს. მენეჯერი მაშინაც გაბრაზდა, როცა რაფინიამ ("შალკესთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს) "ლივერპულთან" გააბა ფლირტი. ამას მოჰყვა ზემოთ ხსენებული სკანდალი და ახლა კიდევ ოლიმპიადა, სადაც მიულერს ბრაზილიელის გაშვება არ უნდა.

*"ყველაფერი ფეხებზე მკიდია, თუ ოლიმპიურ ნაკრებში გამომიძახებენ, პეკინში გავფრინდები და ვერავინ შემაჩერებს,"* - იმუქრება ბრაზილიელი და როგორც ხედავთ, უკან დახევას არ აპირებს.

მიულერის გადაწყვეტილების მიზეზი ის გახლავთ, რომ ოლიმპიადა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს ემთხვევა, სადაც "შალკემ" ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად უნდა იბრძოლოს. თუკი რაფინია პეკინში წავა, გამოდის, რომ ვერც ბუნდესლიგის პირველ ტურებში იასპარეზებს, ვერც გერმანიის თასზე და რაც მთავარია, ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას გუნდს ვერც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე დაეხმარება.

**გოტფრიდ ლენცი**


რაფინია შალკეს ემუქრება

სკანდალი

# პორტუ ჩემპიონთა ლიგის მიღმა?

"პორტუ", შეიძლება, ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩეს. ახლახან დასრულებულ სეზონში ქვეყნის ჩემპიონები სკანდალში გაეხვნენ. მათ 2003-04 წლების სეზონში მეტოქე გუნდების მოსყიდვა დასდეს ბრალად და ექვსი ქულა დააკლეს. ამის მიუხედავად, "პორტუმ" უახლოეს მდევარ "სპორტინგს" 14 ქულით გაასწრო და მორიგი ოქროს მედლები დაისაკუთრა.

უეფა ევროპულ ტურნირებში მონაწილე გუნდების სიებს 2 ივნისისთვის ელოდება. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ გადაწყვიტა, "პორტუს" საქმე დაწვრილებით შეისწავლოს. არაა გამორიცხული, პორტუგალიის ჩემპიონები ერთი წლით მოკვეთონ ჩემპიონთა ლიგიდან.

სხვათა შორის, 2006-07 წლების სეზონის წინ "მილანს" ლიგაში ასპარეზობა აუკრძალეს. მიზეზი ის ცნობილი სკანდალი იყო, რომელმაც 2006 წლის გაზაფხულზე იფეთქა. თამაშების ჩაწყობის ბრალდებით, "როსონერიმ" ახალი სეზონი მინუს შვიდი ქულით დაიწყო. ჩემპიონთა ლიგაში კი მხოლოდ სააპელაციო კომისიის გავლით მოხვდა.

იმ სეზონში, მილანელებმა ჩემპიონთა თასი დაისაკუთრეს. თუ "პორტუსაც" დასჯიან, დისკვალიფიკაციას ისიც აუცილებლად გაასაჩივრებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ სადავო 2003-04 წლების სეზონში, "პორტუ" ყველასთვის მოულოდნელად, ჩემპიონთა თასს დაეუფლა.

რა მოხდება, თუ "პორტუს" ლიგიდან გააძევებენ? მეორე და მესამე ადგილოსანი "სპორტინგი" და "გიმარაეში" ტურნირში ჯგუფური ტურნირიდან ჩაებმებიან, ხოლო მეოთხე ადგილოსანი "ბენფიკა" ლიგის მესამე შესარჩევ რაუნდში გიმარაეშის კუთვნილ საგზურს ჩაიბარებს.

მოსალოდნელი ცვლილებები

# სვენი მექსიკაში, გრანტი სიტიში?



სვენ გორან ერიქსონი ისევ სანაკრებო ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს

**სვენ გორან ერიქსონი**, შეიძლება, მექსიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს. ამ ინფორმაციას ინგლისური და მექსიკური სააგენტოები ავრცელებენ. შვედ სპეციალისტს "მანჩესტერ სიტიდან" დათხოვნა ემუქრება. თუმცა "სიტი" იმდენი ხანია ფიქრობს, რომ ზოგიერთ მიმომხილველს უკვე ეჭვი გაუჩნდა: აპირებს კი მანჩესტერული კლუბის ხელმძღვანელობა სვენთან გამოთხოვებას. "ბენფიკას" ერიქსონის მიწვევა სურდა და სწორედ იმის გამო, რომ "სიტიმ" მის გათავისუფლებას საშველი არ დააყენა, სხვა მწვრთნელზე დაიწყო ფიქრი.

მექსიკელები მწვრთნელს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობენო, ამბობს აგენტი **ხუან კარლოს პადილია**. ჩრდილოამერიკელებს მუნდიალისთვის მოსამზადებლად ძლიერი სპეციალისტი სჭირდებათ. ამიტომაც სვენი შეარჩიეს. პადილიას თქმით, ერიქსონი მექსიკურ ვარიანტს ინტერესით განიხილავს. ახლა ჯერი ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაზეა. თუ ის სვენს სარფიან პირობებს შესთავაზებს, კონტრაქტის გაფორმებას წინ ვერაფერი დაუდგება.

"დეილი სტარის" ცნობით, "სიტის" მთავარ მწვრთნელად შეიძლება **ავრამ გრანტი** დაინიშნოს. ამ უკანასკნელმა "ჩელსიში" გატარებულ სადებიუტო სეზონში გუნდი პრემიერლიგაში მეორე ადგილზე გაიყვანა და ჩემპიონთა ლიგის ფინალი პენალტებით წააგო.

ინგლისის ნაკრები

# კაპელომ შემადგენლობა გადაახალისა

## ტრინიდადში, წამყვანი ფეხბურთელების გარეშე



ფაბიო კაპელო

ინგლისის ნაკრები მომდევნო ამხანაგურ მატჩს ტრინიდადსა და ტობაგოში გამართავს. **ფაბიო კაპელოს** გადახალისებული შემადგენლობა მიჰყავს. სიიდან ამოვარდება ჩემპიონთა ლიგის ფინალის მონაწილე შვიდი ფეხბურთელი. ნაკრებში დარჩებიან რიო ფერდინანდი და **უეინ ბრიჯი**. რიოს წინაპრები ტრინიდადიდან არიან, ბრიჯს კი მოსკოვურ მატჩში არ უთამაშია. დანარჩენები საზაფხულო შვებულებაში ნაადრევად გავლენ.

ოთხშაბათს ინგლისმა ამერიკას უმასპინძლა და 2:0 მოუგო. მიმომხილველთა აზრით, მასპინძლებმა უფრო გამართულად ითამაშეს, ვიდრე წინა ორ მატჩში. კაპელომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია, მაგრამ შეგირდებისგან უფრო მეტს ითხოვს:

*"ბევრი დავალება კარგად შესრულდა. ფეხბურთელები ბევრს და სწრაფად მოძრაობდნენ. ბურთს კარგად აკონტროლებდნენ და ხშირად ცვლიდნენ თამაშის ტემპს. უფრო მეტი გოლი უნდა გაგვეტანა. მთავარი მაინც ისაა, რომ გავიმარჯვეთ"*

ტრინიდადთან მატჩის შემდეგ, ინგლისი კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს - 20 აგვისტოს, ჩეხეთის ნაკრებთან. სექტემბერში, ანდორასთან, მუნდიალის პირველი შესარჩევი მატჩი გაიმართება. ჩეხეთთან თამაშისთვის კაპელოს კაპიტანი უკვე შერჩეული უნდა ჰყავდეს.

ამერიკასთან სამკლაური **ჯონ ტერის** ჩააბარეს. "ჩელსის" მცველმა საუცხოოდ ითამაშა და ერთი გოლი შეაგდო. *"მისთვის ამ გოლს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, - დასძინა კაპელომ - ის "ჩელსიშიც" და ინგლისის ნაკრებშიც ლიდერია."* მაგრამ მწვრთნელს კაპიტანთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ის ფეხბურთელებთან მოთათბირებას აპირებს.

ოთხშაბათის მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა ინგლისელთა თამაში ასე შეაფასეს: დაცვაში უსუსტესად **ვესლი ბრაუნი** დასახელდა. ტერის მისამართით ქების სიტყვები არ დაიშურეს. **ჯეიმსის, ფერდინანდისა** და **ეშლი კოულის** დამაჯერებელი ასპარეზობა არავის გაკვირვებია.

ნახევარდაცვაში **ბექჰემის** ძირითადში დაყენებამ ბევრი გააკვირვა. "გალაქსის" ვარსკვლავს თავი არ შეურცხვენია. **ჯერარდი** უჩვეულო პოზიციაზე, მარცხენა ფლანგზე გაამწესეს, რათა ცენტრი **ლემპარდისთვის** დაეთმო. სტივმა გოლი შეაგდო, ლემპარდმა კი ინერტულად ითამაშა. მატჩში მეორე ტაიმიდან ჩაერთვნენ ახალგაზრდა ნახევარმცველები - **ბენტლი და ბერი.**

თავდასხმაში **რუნიმ დეფოს** უკან ითამაშა. უეინმა ბევრი ირბინა, მაგრამ ბურთი იშვიათად მისდიოდა. მან გაფრთხილება დაიმსახურა და გაძევებას გადაურჩა. ბევრი იშრომა დეფომაც, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

კაპელოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. მწვრთნელს გუნდის გარდასაქმნელად უფრო მეტი დრო სჭირდებაო, წერენ მიმომხილველები და იქვე ამატებენ: გამარჯვების მიუხედავად, **სტივ მაკლარენის** გუნდისგან თვისობრივად განსხვავებულ ნაკრებს ჯერაც ვერ ვხედავთო.

### დასასრულს, შემადგენლობა, რომელსაც კაპელო ოკეანის გაღმა წაიყვანს

**მეკარეები** - დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი), ჯო ლიუისი (პიტერბორო);

**მცველები** - უეინ ბრიჯი (ჩელსი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), ფილ ჟაგიელკა (ევერტონი), გლენ ჯონსონი (პორტსმუთი), სტივ ჯორნოკი (ბლექბერნი), დევიდ ვიტერი (მიდლსბრო), ჯონათან ვუდგეიტი (ტოტენჰემი);

**ნახევარმცველები** - გარეთ ბერი (ასტონ ვილა), დევიდ ბექჰემი (ლოს ანჯელეს გალაქსი), დევიდ ბენტლი (ბლექბერნი), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), სტივ ჯერარდი (ლივერპული), ტომ ჰადლსტონი (ტოტენჰემი);

**თავდამსხმელები** - თეო უოლკოტი (არსენალი), ეშლი იანგი (ასტონ ვილა), გაბრიელ აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), დინ ეშტონი (ვესტ ჰემი), პიტერ კრაუჩი (ლივერპული), ჯერმეინ დეფო (პორტსმუთი).

## სამწვრთნელო დანიშვნები იტალიაში

"კალიარიდან" მოულოდნელად წასული დავიდე ბალარდინი გუშინ მასიმო ალეგრიმ შეცვალა. "მოულოდნელად" იმიტომ, რომ ბალარდინის მეთაურობით სარდინიელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს მეორე წრე და თითქმის უიმედო მდგომარეობიდან სერია A-ში დარჩნენ. რაც შეეხება ალეგრის, მისი სახელი ფეხბურთის გულშემატკივარს არაფერს ეუბნება. მისი დამსახურება ისაა, რომ ახლახან, "სასუოლო" სერია C 1-დან B-ში ალაზევა.

"კიევომ" **ჯუზეპე იაკინი** თანამდებობაზე დატოვა. იაკინიმ "მფრინავი ვირები" სერია A-ში დააბრუნა. 44 წლის ტაქტიკოსს ამისთვის ერთი სეზონი დასჭირდა. გავრცელდა ხმები, თითქოს ვერონელები წარმატებული სპეციალისტის გადაყენებას აპირებდნენ, სანაცვლოდ კი ზემოხსენებული ბალარდინისა და "სიენადან" წასული **მარიო ბერეტას** ვარიანტები განიხილებოდა.

სერია B-ში გავარდნილ "პარმას" კი სათავეში გამოცდილი **ლუიჯი კანი** ჩაუყენეს. 57 წლის კანიმ შარშან "ემპოლის" სერიოზული წარმატება მოუტანა, თუმცა წლეულს დაქვეითებისგან ვერ იხსნა (კანი შუა სეზონში გაუშვეს და ბოლოს დააბრუნეს). ახლა მას სერიოზული მისია აქვს: "პარმა" ელიტაში უნდა დააბრუნოს.

## იუვენტუსი: ჯოვინკო ბრუნდება, ალონსო დასტურდება

22 წლის ნახევარმცველი **სებასტიან ჯოვინკო**, რომელსაც "ახალ დელ პიეროს" უწოდებენ, მომავალ სეზონს "იუვენტუსში" გაატარებს. ის ამ კლუბის საკუთრებაა. ჯოვინკო "ემპოლიში" იყო განათხოვრებული. მოგეხსენებათ, "ემპოლი" გავარდა. ტურინელებს მიაჩნიათ, რომ ჯოვინკო მზადაა, კვლავ ელიტაში ითამაშოს და თან ისეთ კლუბში, როგორიც "იუვეა". ამ ინფორმაციას ფეხბურთელის აგენტი **კლაუდიო პასკუალინიც** ადასტურებს.

დასტურდება ინფორმაცია **ჩაბი ალონსოთი** დაინტერესების თაობაზეც. "ლივერპული" ესპანელ საყრდენ ნახევარმცველში 25 მილიონ ევროს ითხოვს. ტურინელებს იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკების შემდეგ ინგლისელები კომპრომისზე წავლენ და ფასს დასწევენ. სხვათა შორის, "იუვენტუსი" ალონსოს პირად კონტრაქტზე უკვე მოურიგდა.

*"ალონსო ნამდვილად გვინდა, მაგრამ გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით. ცხადია, ზედმეტის გადახდა ჩვენს გეგმებში არ შედის. ესპანელი ისედაც ძვირი ღირს. ჩვენი გენერალური მენეჯერი ჟან-კლოდ ბლანი ახლა სწორედ ამ საკითხზე მუშაობს"* - აცხადებს "იუვენტუსის" პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი.**

## ლიპიმ ჩელსი უარყო

"ჩელსის" ახალი დამრიგებლის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატურად **მარჩელო ლიპიც** განიხილებოდა. როგორც ჩანს, ეს უფრო პრესის ვარაუდი იყო. ამ ვერსიის აგორებას ველოდით კიდეც. ჯერ ერთი, რომ "ჩელსი" **ავრამ გრანტის** შემცვლელად მაღალი რანგის სპეციალისტს ეძებს, მეორე კი ისაა, რომ თავად მარჩელოც მიილტვის ინგლისისკენ და ეს არაერთხელ აღუნიშნავს კიდეც. მაგრამ ირკვევა, რომ მას "არისტოკრატული" სკამი არ აინტერესებს. ლიპის "სანის" კორესპონდენტი დაუკავშირდა:

*"არა, არა. გარწმუნებთ, მე არ ვიქნები "ჩელსის" ახალი მწვრთნელი. ფუნდამენტური მოთხოვნაა, რომ მწვრთნელი მოთამაშეებს უნდა ესაუბრებოდეს, მე კი ამას ვერ მოვახერხებ, რადგან ინგლისური არ ვიცი".*

არადა, ლიპი თითქმის გამორიცხავს სამშობლოში მუშაობასაც. სხვა ენებიდან, ის ცუდად ფლობს ფრანგულსა და ესპანურს. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ საუბრობდნენ იმაზე, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მან, შეიძლება, ესპანეთს მიაშუროს და "სელექსიონში" **ლუის არაგონესი** შეცვალოს.

## მილანი: დიდა რჩება, აბიატი და ბორიელოც მოდიან

"მილანის" სკაუტი **ლეონარდო** ადასტურებს, რომ მეკარე **ნელსონ დიდა** მომავალ სეზონშიც "როსონერო" იქნება. 34 წლის კიპერს აბარგებას უწინასწარმეტყველებდნენ. მიზეზი ბევრი იყო, ეს უკვე იცით და აქ აღარ დავწვრილმანდებით. სიტუაციიდან გამომდინარე, "მილანი" ახალ მეკარეს ეძებდა. ბოლო ხანებში საუბარი იყო **გრეგორი კუპესა** და "ნიცას" ახალგაზრდა გოლკიპერ **უგო ლორისზე**. ეს უკანასკნელი გუშინ "ლიონში" ჩაირიცხა. თუ სად გააგრძელებს კარიერას კუპე, ჯერჯერობით უცნობია. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ მისი ახალი გუნდი "მილანი" არ იქნება. მით უმეტეს, **კრისტიან აბიატის** დაბრუნება "როსონერის" მეკარის პრობლემას საბოლოოდ უხსნის. შეგახსენებთ, აბიატი "ატლეტიკოში" იყო განათხოვრებული.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც "მილანს" დაუბრუნდება, ფორვარდი **მარკო ბორიელოა**. მან "ჯენოაში" ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა (19 გოლი). ბორიელოს დაბრუნების აუცილებლობა "ფიორენტინაში" **ალბერტო ჯილარდინოს** გაყიდვამ გამოიწვია. ბორიელო სანახევროდ "ჯენოას" ეკუთვნის. "მილანი" მის სრულად გამოსყიდვას აპირებს და საამისოდ, გენუელებს 7 მილიონ ევროსა და ახალგაზრდა **დავიდე დი ჯენაროს** სთავაზობს. "ჯენოასგან" პასუხი ჯერ არ ისმის.

## ზიდანი სიდნეიში ვერ გაემგზავრება

**ზინედინ ზიდანი** სიდნეიში დაგეგმილ ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებს. 1998 წლის საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავებს ვეტერან ავსტრალიელ ფეხბურთელებთან უნდა ეთამაშათ. შემოსავალი კი საქველმოქმედო ფონდში ჩარიცხულიყო. ავსტრალიაში გამგზავრებას აპირებდნენ **მარსელ დესაი** და **რობერ პირესი**. 35 წლის ზიდანმა ორგანიზატორებს შეუთვალა, რომ პერსონალური პრობლემების გამო, სიდნეიში ჩასვლას ვერ ახერხებს და ამის გამო ბოდიში მოუხადა. შეხვედრა გაურკვეველი ვადით გადაიდო. ზიდანის გარეშე მატჩის გამართვა იგივე იქნებოდა, "ლოს ანჯელეს გალაქსი" რომ **დევიდ ბექჰემის** გარეშე ჩამოსულიყო, ვშიშობთ, მაყურებელი ბილეთში გადახდილი თანხის ანაზღაურებას მოგვთხოვდაო, დასძინა ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

## ბალბერდემ ესპანიოლი ოლიმპიაკოსზე გაცვალა

ესპანიოლის ყოფილი თავკაცი **ერნესტო ბალბერდე** "ოლიმპიაკოსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 44 წლის ესპანელი ბარსელონურ კლუბს გასულ უქმეებზე გამოეთხოვა. ვარაუდობდნენ, რომ მისი წასვლის მიზეზი "ესპანიოლის" ბოლოდროინდელი წარუმატებლობა იყო. სინამდვილეში მიზეზი ბერძნების სარფიანი წინადადება აღმოჩნდა. სენიორ ერნესტოს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს და წლიურად 1.5 მილიონი ევრო აღუთქვეს. ეს თანხა თითქმის ორჯერ აღემატება იმ ხელფასს, რომელსაც მას კატალონიური კლუბი უხდიდა. ბალბერდეს სამწვრთნელო კარიერა 1997 წელს, ბილბაოს "ატლეტიკში" დაიწყო. იქამდე ის "ატლეტიკის" სარეზერვო შემადგენლობას ავარჯიშებდა. 1996 წელს ბალბერდე ესპანიოლში გადავიდა და პირველსავე სეზონში გუნდი უეფას თასის ფინალში გაიყვანა, სადაც "სევილიასთან" პენალტების სერიაში წააგო.

## სოლარი ზენიტში?

"ზენიტმა" "ინტერის" მარცხენა ნახევარმცველს, **სანტიაგო სოლარის** დაადგა თვალი. 31 წლის არგენტინელს მილანური კონტრაქტი ივნისში ეწურება. მისი გადაბირება "პორტუსა" და "რომასაც" სურთ. რუსული სააგენტოების ცნობით, სოლარის ყველაზე სარფიან პირობებს პეტერბურგელები სთავაზობენ. "პორტუ" სოლარის **რიკარდო კვარეშმას** პოტენციურ შემცვლელად მოიაზრებს. ამ უკანასკნელს, სხვათა შორის, "ინტერი" ეპატიჟება და სოლარისაც ამიტომ აღარ უფორმებენ ახალ კონტრაქტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ინტერვიუ სერგო ათუაშვილთან

# რატომ ვერ შევხვდი ფინალში ცინცაძეს



სერგო ათუაშვილი

გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკ-მა" ესტონეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში "კალევი" 4:0 დაამარცხა. როკერებმა კალეველები მოხსნებზე ოთხივე მატჩში დაჩაგრეს. ჰოდა, ქართველი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, რატომ ვერ ითამაშა ფინალური სერია 222 სმ. სიმაღლის ცენტრმა სერგო ათუაშვილმა, რომელიც ორწლიანი კონტრაქტით "კალევს" ეკუთვნის. ეს გახლავთ ერთი საკითხი, რის გამოც სერგოს ესტონეთში შევეხმიანეთ. მეორე მიზეზი ფინალური სერია გახლდათ - ალბათ, გაინტერესებთ, როგორია მოწინაალმდეგის ბანაკიდან დანახული "როკერი" გიორგი ცინცაძე.

- მართალია, კონტრაქტით "კალევს" ვეკუთვნი, მაგრამ შუა სეზონში იჯარით ტტუ-ში გადავედი და ფინალებისთვის "კალევში" დაბრუნება დამიგვიანდა. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში მოგების შემთხვევაში ტტუ პლეი ოფში გადიოდა, ამიტომ იმ მატჩში აუცილებლად უნდა მეთამაშა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, რეგისტრაცია ერთი დღით დავაგვიანე და ესტონეთის კალათბურთის ფედერაციის წესების თანახმად "კალევში" თამაშის უფლება აღარ მქონდა.

**- გასულ სეზონში ტტუ-ს გამოსვლას როგორ შეაფასებ?**

- გუნდი ბოლო ადგილზე გავიდა, მაგრამ გადათამაშებაში მეორე ლიგის კლუბს ვაჯობეთ და ელიტაში ადგილი შევინარჩუნეთ. ტტუ ახალგაზრდული გუნდი იყო და მისი მთავარი მიზანი ზედა ლიგაში დარჩენა გახლდათ. თუმცა, ბოლოს თამაში ისე გამოვასწორეთ, რომ პლეი ოფში მოხვედრის შანსი გაგვიჩნდა. რვეულში მოსახვედრად "ტარტუ როკის" ძლევა იყო საჭირო, მაგრამ ცინცაძის გუნდს ჩვენ კი არა, "კალევიც" ვერაფერს აკლებს.

**- სიმართლე თქვი, ფინალურ სერიაში ვის ქომაგობდი?**

- რა თქმა უნდა, "კალევს", რადგან ამ კლუბის წევრი ვარ, ვვარჯიშობ და ამ სეზონში ტალინელთა მაისურით ორი მატჩიც ჩავატარე. ვერც იმას ვიტყვი, გიორგი ცინცაძის გაჩემპიონება არ გამეხარდა-მეთქი.

**- ტრიბუნიდან როგორ ჩანდა, რატომ წააგო "კალევმა" სერია 0:4?**

- ამის მთავარი მიზეზი ცენტრის, ტრევის რედის დაშავება იყო. მას სერიოზული ტრავმა აქვს და ოპერაცია სჭირდება. რედი გუნდის მთავარი ფიგურა იყო და მისი გამოკლების შემდეგ "კალევში" ერთი ნომინალური ცენტრი აღარ დარჩა. სხვა გზა რომ არ ჰქონდა, მწვრთნელი ცენტრის პოზიციაზე მსუბუქ ფორვარდს ათამაშებდა. ფინალებში სამწამიან ზონაში "ტარტუ როკს" აშკარა უპირატესობა ჰქონდა. "როკერებს" ფარქვეშ მაღალი კლასის ამერიკელი, ბრაიან კუსვორსი ჰყავდათ.

**- "ტარტუს" გამთამაშებელზე რას იტყვი?**

- გიორგი ცინცაძე მაგარია. "როკს" სწორედ იგი ათამაშებს და გუნდი მაღალ შედეგებსაც უჩვენებს. ცინცაძე ტარტუელთა გამოკვეთილი ლიდერია და აქ დიდ პატივს სცემენ.

**- კონტრაქტის მიხედვით კიდევ ორი წლით "კალევს" ეკუთვნი, თუმცა, ბოლო საუბრისას მითხარი, შეიძლება ჩეხეთში წავიდეო, ამერიკაც ახსენე...**

- ჯერ შეიძლება ამერიკაში ჩავიდე. მენეჯერი დამპირდა ოკეანის გაღმა კემპზე წაყვანას და ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ უფრო კონკრეტულად მეცოდინება, სად გავაგრძელებ კარიერას. "კალევთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაქვს და შეიძლება ესტონეთში დავრჩე. ბევრ რამეს გადაწყვეტს მწვრთნელის საკითხი. გუნდში ახალი დამრიგებელი უნდა მოვიდეს და ვნახოთ, მას რა შეხედულებები ექნება. "კალევის" ამჟამინდელი მწვრთნელიც დამპირდა, სადაც წავალ, იქ აუცილებლად წაგიყვანო. ასე რომ, აჩქარებას არ ვაპირებ.

ვაჟა სიმონიშვილი




პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საუკეთესო შედეგი




ბარსელონაში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქართულმა წყვილმა საქა-რთველომ თავის კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა.

ჩვენმა ფრენბურთელებმა ტურნირის მეორე დღეს პირველ შეხვედრაში კიდევ ერთი ესპანური წყვილი **კამპისი** და **ლოსანო** დაამარცხეს (21:9, 21:17), თუმცა, მერე გათამაშების ერთ-ერთ უძლიერეს დუეტს, მეორე ნომრად განთესილ **ბრანაგსა** და **იუნგზს** გადაეყარნენ და ასევე ორ სეტში დამარცხდნენ - 14:21, 18:21.

შედეგად საქა-რთველომ რეიტინგში 180 ქულა მიითვალა და 3 900 ამერიკული დოლარი პრემიალური თანხა გამოიმუშავა.

წარუმატებლად იასპარეზა ბარსელონაში საოლიმპიადო ლიცენზიისთვის ბრძოლაში ჩვენი ფრენბურთელების კონკურენტმა ლატვიურმა დუეტმა, **მინუსამ** და **იურსონემ**, მათ სტარტზე ორივე შეხვედრა წააგეს და მხოლოდ 60 სარეიტინგო ქულას დასჯერდნენ.

ასპარეზობას განაგრძობს ვაჟთა შორის **გეორ-გია**. ძირითად ბადეში პირველ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა ვერაფერი გააწყვეს ზელანდიურ დუეტთან ლოქჰიდი-**პიტმანი** 0:2 (15:21, 10:21). თუმცა მერე მასპინძელთა დუეტს **ლუნას** და **მარკოსს** მოუგეს. პირველ სეტში გეორ-გიამ იოლად გაიმარჯვა 21:13, მეორეში კი ჩვენები ოდნავ მოდუნდნენ და სეტის მიწურულსღა გამოიღეს ხელი 21:19.

დღეს გეორ-გია იაპონელებს ასაშისა და შირატორის დაუპირისპირდება, რომლებიც ტურნირზე მე-18 ნომრად არიან განთესილი. გეორ-გია მეჩვიდმეტეა. ჩვენს ფრენბურთელებს წაგების უფლება აღარ აქვთ.

ბესიკ ჯანგავაძე

მშვილდოსნობა

# ნარიმანიძემ მერვედფინალი იკმარა

თურქეთის ქალაქ ანთალიაში მშვილდოსნობაში მსოფლიოს თასის მესამე ეტაპი მიმდინარეობს, რომელიც ამავდროულად ევროპის თასის მეოთხე ეტაპია. საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილე ოთხი ქართველი მშვილდოსნიდან ორმა შეძლო პლეი ოფში გასვლა: **ქრისტინე ესებუა** მე-16 ადგილზე გავიდა, ხოლო **ხათუნა ნარიმანიძე** – 39-ეზე. პლეი ოფს მიღმა დარჩნენ **ასმათ დიასამიძე** და **ნათია ცინცაძე**. ქართველი ვაჟები საერთოდ ვერ მოხვდნენ პლეი ოფში. გუშინ პლეი ოფში ქრისტინე ესებუა ინდოელ **ბომბაიალა დევისთან** დამარცხდა – 107:112 და ბრძოლას ეგრევე გამოეთიშა. სამაგიეროდ, კარგად ისროლა ხათუნა ნარიმანიძემ, მან ჯერ საკვალიფიკაციოში 26-ე შედეგის პატრონი იაპონელი **იუკი ჰაიაში** დაამარცხა – 108:105. შემდეგ კი მან მოულოდნელად აჯობა მე-7 ნომრად განთესილ იტალიელ **ელენა ტონეტას** – 110:109. მერვედფინალში ნარიმანიძე უკრაინელ **ვიქტორია კოვალთან** დამარცხდა – 100:115. შემდეგში კოვალმა ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ბასილაშვილი ასეულს უმიზნებს



16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** კარგად იასპარეზა ბელგიის ღია პირველობაზე ახალგაზრდებს შორის, რომელიც 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ასპარეზზე პირველი კატეგორიისაა. ზუსტად ათი წლის წინათ ეს ტურნირი ქართველმა მოიგო, მაშინ ბიჭებში **ირაკლი ლაბაძემ** იმარჯვა, გოგონებში კი **ელენა დოკიჩმა**. ტურნირი ახალგაზრდული „როლან გაროსის" გენერალური რეპეტიციაა. შარლერუაში ორ ქართველს უნდა ეასპარეზა, მაგრამ ბასილაშვილის თანატოლმა **ეკა გორგოძემ** ვიზის პრობლემის გამო ვერ მოახერხა ბელგიაში ჩასვლა, ამავე მიზეზით ის „როლან გაროსსაც" გამოტოვებს.

ნიკოლოზ ბასილაშვილი 18-წლამდელთა მსოფლიო კლასიფიკაციაში 193-ე ჩოგანია. პირველი კატეგორიის ტურნირზე ეს რეიტინგი ძირითად ბადეში თამაშის გარანტიას ვერ იძლევა. ამიტომ დაიწყო ჩვენებურმა ბრძოლა საკვალიფიკაციო ბადიდან, ის იქ განთესილთა შორისაც ვერ მოხვდა. პირველ წრეში ბასილაშვილმა დიდ ბრძოლაში დაამარცხა მასპინძელი **იორის დე ლური** – 5:7, 6:2, 6:2. მეორე წრეში ქართველი მე-11 ნომრად განთესილ **მაიკლ დევისს** შეხვდა, რომელიც კლასიფიკაციაში 109-ე პოზიციაზე იმყოფება. ბასილაშვილმა მატჩის ფავორიტს იოლად სძლია – 6:2, 6:3. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ჩვენებურმა ფრანგ **კონსტანტინ ბელოს** მოუგო – 6:7 (0), 6:2, 7:5. ბელგიის ღია პირველობის ძირითად ბადეში ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრიტანელი **დანიელ კოქსი** ელოდა, რომელიც ახალგაზრდებში მსოფლიოს 48-ე ჩოგანია, ქართველის უპირატესობა მაინც აშკარა იყო – 6:3, 6:2. ბასილაშვილი მხოლოდ მეორე წრეში გააჩერეს, ეს 18 წლის ამერიკელმა **ბრედლი კლანმა** შეძლო – 5:7, 4:6. მე-10 ნომრად განთესილი კლანი მსოფლიოს მე-19 ჩოგანია ახალგაზრდებში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჯიქია მერვედფინალში დამარცხდა

16 წლის **ანა ჯიქიამ** გაზიანთეფში (თურქეთი) 10-ათასიანი ტურნირის მერვედფინალში წააგო. ის ავსტრალიელმა **დანიელა სკივეტიმ** (ურეიტინგო) დაამარცხა – 3:6, 0:6. წყვილთა თანრიგში ჯიქია **ვოლჰა დუკოსთან** (ბელარუსი) ერთად გამოდის. პირველ წრეში მათ მე-4 ნომრად განთესილი დუეტი (**ტომიჩი, პაჟალიჩი**) არ გამოუცხადდა. მეოთხედფინალში დუკო და ჯიქია თურქულ წყვილს (**სემიზოგლუ, ბენლი**) შეხვდებიან.

**ნ. ნ.**

რაგბი. ტრანსფერი

# კიდევ ორი ქართველი ფრანგულ ელიტაში

ქართველმა მორაგბეებმა **გიორგი მჭედლიშვილმა** და **ბექა შეყლაშვილმა** საფრანგეთის პირველი დივიზიონის „მონტობანთან" გააფორმეს ხელშეკრულება. ორივე შერკინების პირველხაზელია და ამჟამად „ლელოსა" და „ყოჩებში" თამაშობენ. გამორიცხული არაა, მათ რუმინეთში გასამართ IRB-ის ერთა თასის გათამაშებაშიც მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში.

შეგახსენებთ, რომ „მონტობანში" მომავალი სეზონიდან კიდევ ქართველი მორაგბე **გოდერძი შველიძე** იასპარეზებს აქ „კლერმონიდან" გადადის.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ხელბურთი. ინტერვიუ ვლადიმერ რუსიასთან

# მილიონევროიანი დინამოდან ასიათასიან საქართველომდე

**საქართველოს ნაკრებისა და რუმინეთის "დინამოს" ხელბურთელმა ვლადიმერ რუსიამ სეზონი მეტ-ნაკლები წარმატებით დაამთავრა. მართალია, მან ნაკრების შემადგენლობაში იანვარში "ჩელენჯ ტროფი" მოიგო, მაგრამ რუმინეთის ჩემპიონატში აშკარად არ გაუმართლა - "დინამომ" მხოლოდ მეცხრე ადგილი დაიკავა, რუმინეთის თასზეც ხელმოცარული დარჩა და ევროთასებსაც ნაადრევად გამოეთხოვა. რუსია სამშობლოში დაბრუნდა და "ლელოსთან" ინტერვიუში კლუბსა და საქართველოს ნაკრებზე საუბრობს.**

- სეზონის დასაწყისში, "დინამოს" პროგრამა მინიმუმი სამეულში მოხვედრა იყო, მაქსიმუმი კი ჩემპიონობა. თავიდან მართლაც კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე თავი იჩინა გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა. ჯერ ერთი, რომ ახალი შეკრებილი გუნდი ვიყავით, მერე მწვრთნელმა დაუშვა შეცდომები, ბოლოს კი ფინანსურმა პრობლემებმა და არასტაბილურობამ დაგვალალატა - ხან ლიდერებს ვამარცხებდით, ხანაც სუსტ გუნდებთან ვმარცხდებოდით. საბოლოოდ, მეცხრე ადგილს დავჯერდით.

**- სეზონის დამთავრების შემდეგ, რა ზომებს მიმართა გუნდის ხელმძღვანელობამ?**

- ჯერჯერობით, არ არის გარკვეული, დატოვებენ თუ არა მთავარ მწვრთნელს. ოთხი ხელბურთელი კი უკვე გაუშვეს. ფინანსური პრობლემები მოაგვარეს და დავალიანება გაგვისტუმრეს. მომავალი წლისთვის გაცილებით ძლიერი გუნდის გაკეთება უნდათ და ამ გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ხარო. სხვათა შორის, იმ ლაპარაკის შემდეგ, დავალიანებაც მალე გამისტუმრეს.

**- ანუ ყველა ვარიანტში "დინამოში" დარჩები?**

- დიახ, "დინამოში" ვრჩები. კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წელი კიდევ დამრჩა და ამ ხნის განმავლობაში არსად წავალ. ისე, მქონდა რამდენიმე შემოთავაზება და მათ შორის რეზო ჭანტურიას მაკედონიური "მეტალურგიდან", მაგრამ მაინც რუმინეთში დარჩენა ვამჯობინე.

**- რუმინეთამდე უკრაინაში თამაშობდი. რა განსხვავებაა ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატს შორის?**

- რუმინეთის ჩემპიონატის დონე უკრაინისას ნამდვილად აღემატება და აქ ძალიან ბევრი ვისწავლე. მართალია, რუმინელებს არა აქვთ გერმანიისა და ესპანეთის ჩემპიონატების დონე, მაგრამ რაც აქვთ, ჯერჯერობით, სავსებით მაკმაყოფილებს. უკეთესზე კი კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ვიფიქრებ.

**- ტრავმები გაწუხებდა...**

- კოჭისა და საზარდულის ტრავმები მქონდა, რის გამოც რუმინეთის ჩემპიონატში რამდენიმე მატჩის გამოტოვება მომიხდა. ვარჯიში უკვე დავიწყე, მაგრამ ჯერ ბოლომდე კარგად ვერ ვარ და ჯანმრთელობის პრობლემის მოგვარებას ვაპირებ. ამიტომაც საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ იმედო ფხაკაძესთან შეთანხმებით, ნაკრების მოსამზადებელ ეტაპს დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ შევუერთდები - იქამდე კი დავისვენებ და ვიმკურნალებ.



ვალადიმერ რუსია

**- შენით კმაყოფილები არიან?**

- ასე გამოდის. ახალი ჩასული რომ ვიყავი, საწყის 2-3 ტურში ნაკლებად მენდობოდნენ, რადგან ჩემს შესაძლებლობებს ბოლომდე არ იცნობდნენ. მერე კი დამტვირთეს და ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ვითვლებოდი. სხვათა შორის, როდესაც ფინანსური პრობლემები შეგვექმნა, გუნდის ხელმძღვანელობას ვუთხარი - დავალიანებას ვერ იხდით, გუნდს შედეგები არ აქვს და ხომ არ ჯობია, წავიდე-მეთქი. კატეგორიული უარი მითხრეს - მომავალი წლიდან მილიონევროიანი ბიუჯეტი გვექნება, სერიოზული გუნდის გაკეთება გვინდა

**- ნაკრების თემასაც მივადექით. როგორ შეაფასებ გუნდის შანსებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე?**

- წილისყრისას სასტიკად არ გაგვიმართლა - ყველაზე ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. პოლონეთი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია, შვედებს მუდამ კარგი და წარმატებული გუნდი ჰყავთ, ჩერნოგორია კი მართალია, ახალი ქვეყანაა, მაგრამ უკვე მოასწრო ევროპის ჩემპიონატზე თამაში, სადაც სენსაციურად გავიდა ჯგუფიდან. რუმინელებთან ვითამაშეთ წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე და მათი სახითაც ძლიერი მეტოქე გვყავს. ერთადერთი თურქეთია ასე თუ ისე, სუსტი გუნდი, მაგრამ არც თურქებთან გვაქვს რამე გარანტირებული.

ასე რომ, დიდი ბრძოლები გვაქვს წინ...

**- რუმინეთში თამაშობ. იქაურებთან თუ გქონდა ჩვენს ჯგუფზე საუბარი?**

- "დინამოში" რუმინეთის ნაკრების ორი ხელბურთელი იყო და მათ ველაპარაკე. ერთ-ერთ მათგანს - ფილიპ მარიანს ნიძლავიც კი დავუდე - თბილისში მოგიგებთ მეთქი. ისე, ფილიპ მარიანს წინა საკვალიფიკაციო ციკლში, თბილისში უთამაშია.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ წილისყრამ რუმინელებიც გააწბილა. საბრძოლველად კი ემზადებიან, მაგრამ იმასაც აღიარებენ, რომ ჯგუფიდან გასვლის მოკრძალებული შანსი აქვთ - პოლონელები, შვედები და ჩერნოგორიელები ჩვენზე ძლიერები არიანო.

**- საქართველოს ხელბურთის ფედერაცია კვლავ უპრეზიდენტოდ დარჩა. ვის ისურვებდი ახალ პრეზიდენტად?**

- სახელს და გვარს დიდი მნიშვნელობა არ აქვს - მთავარია, ახალ პრეზიდენტს უყვარდეს ხელბურთი, ხელი შეუწყოს მის განვითარებას და რაც ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება, ფინანსები უნდა მოიძიოს. დღეს იმედო ფხაკაძემ და ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ მკითხეს - "დინამოს" წლიური ბიუჯეტი რამდენიაო. რომ ვუთხარი, მილიონი ევრო მეთქი, გაეცინათ - საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ბიუჯეტი მხოლოდ 90 000 ევროაო.

სწორედ უფულობის ბრალია, რომ საქართველოს ნაკრებს ელემენტარულად, ხან ეკიპირების პრობლემა აქვს, ხან ხეირიანი სავარჯიშო დარბაზის და ხანაც სტუმრის მიღების ან გასვლითი მატჩისთვის საჭირო თანხის. აღარაფერს ვამბობ საკონტროლო შეხვედრებზე - ჩვენ თუ წელიწადში ორიოდე ტურნირზე თამაში გვიხარია, ჩვენი მეტოქეები უამრავ ტურნირსა და ამხანაგურ მატჩს ატარებენ. თუკი გვინდა, რომ საქართველოს ნაკრებს წარმატებები ჰქონდეს, სერიოზული დაფინანსება, კარგი სავარჯიშო პირობები და ბევრი საკონტროლო მატჩია საჭირო.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

# გორული უმრავლესობა

## გოჩაშვილი, თუშიშვილი, გოგშელიძე

**საქართველოს ნაკრებმა პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრებები დაასრულა. გაირკვა, რომ ჩინეთის დედაქალაქში ხუთი ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავე მიიღებს მონაწილეობას. მათი უმრავლესობა, სამი ფალავანი გორის საჭიდაო სკოლას წარმოადგენს. ვესაუბრებით მათ მწვრთნელს, ნუგზარ სხირელს.**

- რა თქმა უნდა, წარმატება მეტად შთამბეჭდავია. მე მიხარია, რადგან გორელებმა კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი შესაძლებლობები, მაგრამ მინდა იმედი მქონდეს, რომ მთავარი გამარჯვებები ჯერაც წინაა.

**- მოდით, ვისაუბროთ თქვენი ფალავნების მიერ ოლიმპიადის ლიცენზიების მოსაპოვებლად განვლილ გზაზე. დავიწყოთ ბესიკ გოჩაშვილით, რომელსაც ყველაზე მეტად გაუჭირდა დასახული მიზნის შესრულება.**

- მე ვიტყოდი, რომ ყველაზე მეტ უსამართლობასთან ბრძოლაც გოჩაშვილს დასჭირდა. რომ არა ტენდენციური მსაჯობა, გოჩაშვილს წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზევე შეეძლო ლიცენზიის მოპოვება. ამ შეჯიბრებაზე, რადოსლავ ველიკოვთან (ბულგარეთი) წაგებული ორთაბრძოლისას საქმე წილისყრაზე მიდგა, რომელიც ბესოს ერგო, მაგრამ ჩოქბჯენში მდგომი მოწინააღმდეგისთვის ხელი არ ჰქონდა შემოჭდობილი, მსაჯმა რომ სასტვენი მისცა. ბესომ იდავა, სიმართლე დაამტკიცა და მეორედ დააყენეს წყვილი ხალიჩაზე (სხვათა შორის, აქ ჩვენმა მწვრთნელებმა დაბნეულობა გამოავლინეს, გადაწყვეტილებას მყისვე შეეგუენ და საქმე მხოლოდ ფალავანის სადავო გახადეს), მაგრამ მეორედაც იგივე მოხდა, აი მაშინ კი, მიუხედავად კიდევ ერთხელ სამართლიანი შენიშვნისა, უკვე ველარავინ იპოვა მსაჯებთან სამართალი. მართალია, ამ ევროპის ჩემპიონატზევე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების მცირე შანსი იყო (გოჩაშვილს საამისოდ ჩემპიონობა სჭირდებოდა), მაგრამ გვეშინოდა ასეთ მსაჯობას მასზე უარყოფითი კვალი არ დაემჩნია, მით უფრო, რომ უარესი თურმე წინ გვქონდა.

ევროპის ჩემპიონატის შემდგომ სალიცენზო ტურნირზე, ისევ ფინეთში, ისევ უკიდურესად არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლი შეიქნა გოჩაშვილი. მის მიერ მოპოვებულ ქულებს, უბრალოდ, უცერემონიოდ, მოწინააღმდეგე ფალავანს გერმანელ მარსელ ევალდს უწერდნენ. მე ვფიქრობ, ეს ყოველივე გერმანელი კოორდინატორის გავლენით ხდებოდა, რომელიც თანამემამულე ფალავანს მფარველობდა. ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლებმა გამოხატეს თუ არა უკმაყოფილება, ერთ-ერთ ჩვენ მწვრთნელისთვის წითელი ბარათის ჩვენება არ დაუყოვნებიათ და 5 000 ფრანკითაც დააჯარიმეს. ქართული ბარიერის გადალახვის შემდეგ ევალდი ოთხეულში მაინც ვერ მოხვდა და შესაბამისად ბესომაც ვერ გააგრძელა ბრძოლა საგზურისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირზე ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელები ერთხანს გოჩაშვილის ნაცვლად სხვა ფალავანის გაშვებას ფიქრობდნენ, თუმცა მე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, რადგან მჯეროდა მისი. ვარშავაში ჩვენმა ფალავანმა ალმავლობით ჩაატარა შეჯიბრება და ფინალში გავიდა, რაც საკმარისი იყო ლიცენზიისათვის. ვნახოთ, რა იქნება პეკინში. ისე, ამ წონით კატეგორიაში საქართველოს არა მხოლოდ დამოუკიდებლობის წლებში, იქამდეც არ ჰქონია დიდი წარმატებები.

**- თანაგუნდელისაგან განსხვავებით ოთარ თუშიშვილს ნახევარ წელიწადზე მეტია, თავი ქუდში აქვს.**

- კი, ოთარმა მსოფლიო ჩემპიონატზევე მოიპოვა პეკინის საგზური. იქ მოპოვებული ბრინჯაოს მედლისა და შესაბამისად ოლიმპიადის ლიცენზიის მერე კარგა ხანს დასვენების საშუალება მივეცით. არც ევროპის ჩემპიონატზე ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ეჭიდავა. ახლა უახლოეს ხანებში გასამართ ორ შეჯიბრებაზე ვაჭიდავებთ. ეს მისთვის საოლიმპიადოდ კარგი სამზადისი იქნება.

**- მის საოლიმპიადო პერსპექტივაზე რას გვეტყოდით?**

- ოთარი წინა ოლიმპიადაზე რომ კუბელთან დამარცხდა და გასულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც კუბელთანვე მოეცარა ხელი, ზოგიერთმა ჩათვალა, რომ თუშიშვილს მათი ერთგვარი კომპლექსი აქვს, მაგრამ ეს ასე არ არის. გარდა ამისა, ვერავინ გადაუსვამს ხაზს მის ტალანტსა და სიძლიერეს. მე ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ თუშიშვილი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ძალიან ძნელია ფალავანი ზედიზედ სამი წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე საპრიზო ადგილებს იკავებდეს. თუშიშვილი კი ამას უდიდესი შრომისმოყვარეობის ფასად ახერხებს. ოთარი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე კუბელ გარსონთან დაპირისპირებამდე ბულგარელ ნიკოლაი პასლარს შეხვდა. პასლარი ფიზიკურად მეტად ძლიერი ფალავანია და მისი ბარიერის გადალახვა არ ყოფილა იოლი. ბულგარელთან გამარჯვების შემდეგ თუშიშვილს სულ რამდენიმე წუთში მოუწია ხალიჩაზე გასვლა გარსონთან. აშკარად შესამჩნევი იყო, რომ პასლართან მძიმე ბრძოლის შემდეგ ჩვენს ფალავანს ჯერ ძალები არ აღედგინა და კუბელთან პირველ ყოვლისა სწორედ ამიტომ წააგო. საიდან ვაკეთებ ასეთ დასკვნას? მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში, როცა ოთარი რამდენიმე საათის შემდეგ გავიდა ხალიჩაზე, ვნახე, როგორ კარგად იყო დასვენებული და მობილიზებული. ამიტომ იყო, რომ შესანიშნავად იასპარეზა და დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწია.

**- და ბოლოს, რაც შეეხება გიორგი გოგშელიძეს. როგორ ფიქრობთ, გატეხა მან ერთგვარი ნავსი, რაც აქამდე სჭირდა?**

- გიორგისგან მთელი საქართველო ელოდა გამარჯვებას. უსიამოვნო იყო მისი შარშანდელი ჩავარდნა. იყო შემთხვევები, როცა მან შესაძლებლობები ვერ გამოავლინა და ა. შ. რასაკვირველია გოგშელიძის მხრიდან მოსალოდნელი შედეგების უქონლობას გარკვეული მიზეზები უნდა ჰქონოდა და აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მიზეზი მისი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა იყო. გიას ყელს იტკიებდა, სუნთქვა უჭირდა, მერე აღმოჩნდა, რომ რაღაც გამონაყარი ჰქონდა ყელში. პრობლემა იყო მისთვის შესაფერისი სპარინგპარტნიორის მონახვა. მოგეხსენებათ გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი ძირითადად მსუბუქი წონის ფალავნებითაა გამორჩეული. გიორგისთვის უპრიანი იყო დედაქალაქში შესაფერის პარტნიორებთან ევარჯიშა, მაგრამ ვინაიდან ბინა არ აქვს თბილისში, ვერ ახერხებდა. საბედნიეროდ „ოლიმპიური ვარსკვლავის“ პრეზიდენტმა ზაზა რაზიკაშვილმა გადაჭრა ეს საკითხი და გიას ბინა დაუქირავა. ამჟამად გოგშელიძე ძირითადად თბილისში ვარჯიშობს.

**- ანუ იგი გადავიდა გორის ჭიდაობის დარბაზიდან?**

- არა, ასე არ არის. იგი კვირაში ორ დღეს გორშიც მოდის სავარჯიშოდ. მას ჩვენთან თითქმის ისეთივე ურთიერთობა აქვს, როგორც მოსკოვიდან დაბრუნებისას. განუწყვეტლივ თბილისში მხოლოდ ნაკრების შეკრებებისას რჩება ხოლმე. სხვათა შორის, წარმოიდგინეთ, რომ ჯერ კიდევ რუსეთში ასპარეზობისას, მოსამზადებელი ეტაპის გარკვეულ მონაკვეთს გოგშელიძე გორში გადიოდა. მე თუ მკითხავთ, გიორგის სულაც არ სჭირდება მწვრთნელი, მას სჭირდება პირობები. შეუქმნეს სათანადო პირობები? - აჩვენა შედეგი ევროპის ჩემპიონატზე. შეექმნება შესაბამისი პირობები? ექნება შედეგი ოლიმპიადაზეც. მისნაირ მოჭიდავეს, რომლისგანაც ყოველთვის წარმატებას ითხოვ და ელი, ინდივიდუალური პროგრამით უნდა უწყობდე ხელს.



გორელთა მთავარი იმედი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონ გიორგი გოგშელიძე

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

უნივერსიადა

# ტრადიციის აღორძინება დაიწყო

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელთა ინიციატივით, 13 მაისს დაიწყო საქართველოს უნივერსიადა, ფინიშის ხაზი კი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს გადაკვეთა. წლეულს საუნივერსიტეტო სპორტმა საკმაოდ გაშალა ფრთები და უმაღლეს სასწავლებლებში დიდი ინტერესი აღძრა, რაც ჩვენთვის ტრადიციულ სახეობებში სტუდენტთა დაინტერესებით დადასტურდა და დიდი მასშტაბის შეჯიბრებების მოწყობის წინაპირობა შეიქმნა. წლევანდელი უნივერსიადა, უთუოდ შეუწყობს ხელს სტუდენტური შეჯიბრებების ტრადიციის აღორძინებას,რაც ფაქტობრივად დაიწყო კიდეც.

სულ 11 სახეობაში - ძიუდო, ქართული ჭიდაობა, მინი-ფეხბურთი, ფრენბურთი, შვიდკაცა რაგბი, ქუჩის კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა, მკლავჭიდი, მძლეოსნობა, ჭადრაკი - გაეჯიბრა ერთმანეთს ქვეყნის 22 უძლიერესი უმაღლესი სასწავლებელი. საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავა, რომლის ანგარიშზე ოქროს 9, ვერცხლის 12 და ბრინჯაოს 6 მედალია. მეორე ადგილზე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტია -შესაბამისად 8 , 3 და 3 მედალი,მესამეზე- ტექნიკური უნივერსიტეტი: 7 ,6 და 1.

სპორტის სახეობათა მიხედვით შედეგები ასე გამოიყურება:

**მაგიდის ჩოგბურთი.** ვაჟები: 1. სტუ; 2. "ჭავჭავაძე"-1; 3. "ჭავჭავაძე"-2. გოგონები: 1. სამედიცინო უნივერსიტეტი; 2. შავი ზღვის უნივერსიტეტი; 3. ჰუმანიტარულ-ტექნიკური უნივერიტეტი.

**ჭადრაკი.** ვაჟები: 1. "ჭავჭავაძე"; 2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი; 3. თსუ. გოგონები: 1. თსუ-1; 2. თსუ-2; 3. შავი ზღვის უნივერსიტეტი.

**ძიუდო:** 1. თსუ; 2. სტუ; 3. სამედიცინო უნივერსიტეტი.

**მინი-ფეხბურთი:** 1. სტუ; 2. თსუ; 3. გორის უნივერსიტეტი.

**ქართული ჭიდაობა:** 1. სამედიცინო უნივერსიტეტი; 2. სტუ; 3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

**მძლეოსნობა:** 1. "ჭავჭავაძე"; 2. თსუ; 3. ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტი.

**ფრენბურთი:** 1. სდასუ; 2. თსუ; 3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

**შვიდკაცა რაგბი:** 1. "ჭავჭავაძე"; 2. სტუ; 3. სამედიცინო უნივერსიტეტი.

**მკლავჭიდი:** 1. თსუ; 2. "ჭავჭავაძე"; 3. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**ქუჩის კალათბურთი:** 1. სტუ; 2. შავი ზღვის უნივერსიტეტი; 3. სამედიცინო უნივერსიტეტი.

**ცურვა:** 1. თსუ; 2. "ჭავჭავაძე"; 3. სტუ.

28 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში გაიმართა უნივერსიადის დახურვის ოფიციალური ცერემონიალი,რომელიც დაამშვენეს ქართული ესტრადის პოპულარულმა წარმომადგენლებმა: **ნინი ბადურაშვილმა, თაკო გაჩეჩილაძემ, აჩიკო ნიჟარაძემ, ანი კეკუამ, ანანო მჟავიამ** და **ქრისტინე იმედაძემ.** აუდიტორიას მიესალმა და მშვენიერი მრავალჟამიერი მიუძღვნა სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებულმა ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლმა. ხელოვანთა გამოსვლებს ნომინანტების დაჯილდოება ენაცვლებოდა. საღამოზე თბილისის მერიის წარმომადგენლებმა კმაყოფილება გამოთქვეს უნივერსიადის კარგად ჩატარების გამო და განაცხადეს, რომ მომავალში მსგავსი შეჯიბრება უფრო მასშტაბური გახდება.ასევე აქტიური მხარდაჭერა დაადასტურა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ, **დავით ნამგალაურმა.** გაიზრდება ფინანსური თუ მატერიალური დახმარება.

საღამოს პათოსი ერთი იყო: საუნივერსიტეტო სპორტი ქვეყნის სპორტის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს და თუკი ქვეყნის ხელისუფლება სათანადოდ დაუდგება სტუდენტურ სპორტს გვერდში, ამით მთელი ქვეყანა მოიგებს. ღმერთმა ქნას...




გამარჯვებული თსუ

გიორგი ჭანიშვილის ფოტო

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია

# მორესმოს იმედები გაუცრუვდა

გუშინ საფრანგეთის ღია პირველობას კიდევ რამდენიმე ძლიერი ჩოგბურთელი გამოეთიშა. ტურნირს მეორე წრეში დაემშვიდობნენ ფრანგი **ამელი მორესმო**, ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი**, არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი** და რუსი **ანა ჩაკვეტაძე**. სამაგიეროდ, წინსვლა გააგრძელეს ტურნირის სამგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** და სერბმა **ელენა იანკოვიჩმა**.

რა თქმა უნდა, ჩოგბურთის ფრანგი ქომაგისთვის ყველაზე მტკივნეული, მორესმოს მარცხი იყო. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ვისაც დიდი სლემის ტურნირებიდან მხოლოდ ორი – უიმბლდონი და ავსტრალიის ღია თითოჯერ აქვს მოგებული, საფრანგეთის ღიაზე კი მეოთხედფინალს არასოდეს გასცდენია, ტურნირი 19 წლის ესპანელმა, რეიტინგში 132-ე ადგილზე მყოფმა **კარლა სუარეს ნავარომ** მოუგო, ვისაც დიდი სლემის ტურნირზე მანამდე არასოდეს უთამაშია, "როლან გაროსზე" გამოსვლის უფლება კი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის შემდეგ მიიღო.

ბლეიკი იმ ხუთ ამერიკელს შორის იყო, ვინც ტურნირის მეორე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა, მაგრამ **უეინ ოდსნიკისა** და **რობი გინეპრისგან** განსხვავებით, ეს ეტაპი მისთვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა. ტურნირი მას ლატვიელმა **ერნესტ გულბისმა** დაატოვებინა, ვინც თურმე კალათბურთელების ოჯახიდანაა, მაგრამ ბურთის ტყორცნას რატომღაც ჩოგნის ქნევა ამჯობინა.

ლატვიელ ჩოგბურთელს რეიტინგში მე-80 ადგილი უკავია, მისი მეტოქე კი ტურნირზე მეშვიდე ნომრად იყო განთესილი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბლეიკი "როლან გაროსზე" კარგი თამაშით არასოდეს გამოირჩეოდა – ის მესამე წრის იქით ერთხელაც არ გასულა.

მორესმოსა და ბლეიკისგან განსხვავებით, ნალბანდიანი თიხნარის ოსტატია (არც ჰარდზეა ნაკლები) – საფრანგეთის ღიაზე ორჯერ (2004 და 2006 წლებში) უთამაშია ნახევარფინალში. ამჯერად, ტურნირზე უაილდ ქარდით მიწვეულ ფრანგ **ჟერემი შარდისთან** (რეიტინგში 145-ე ადგილზეა) შეხვედრაში, მან პირველი ორი სეტი მოიგო, მაგრამ შემდეგ რატომღაც სრულიად აერია თამაში და მომდევნო სამი სეტი თითქმის უბრძოლველად დათმო.

არადა, შარდის აქამდე უმაღლეს დონეზე თამაშის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა. ასე განსაჯეთ, პირველი კატეგორიის ჩელენჯერებშიც კი იშვიათად გამოდის და მეტწილად, მეორე კატეგორიის ჩელენჯერებზე ასპარეზობს, ატპ-ს ტურნირზე კი მისი დებიუტი "როლან გაროსზე", უაილდ ქარდის წყალობით შედგა. ჰოდა, ჯერ პირველი წრე განვლო (პორტუგალიელ **ფრედერიკო ჟილს** მოუგო), შემდეგ კი ტიტულოვანი არგენტინელიც ჩამოიცილა გზიდან, რისთვისაც სამი საათი იმყოფინა.

სუარეს ნავარომ **ფილიპ შარტიეს** სახელობის კორტზე პირველად ითამაშა. თანაც, მაყურებელი მის მეტოქეს მხურვალედ ქომაგობდა, მაგრამ ამბიციური ესპანელი ამან ვერ გატეხა. ის კორტზე აბსოლუტური დომინანტი იყო. მორესმო კი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა (საერთო ჯამში 40 უნებლიე შეცდომა დააგროვა), რამაც ცუდი სამსახური გაუწია. სხვათა შორის, მატჩ პოინტზეც ბექჰენდი უზუსტოდ შეასრულა.

იმ იშვიათ მაყურებელს შორის, რომლებსაც სუარეს ნავაროს გამარჯვება გაუხარდათ, მისი სახელოვანი თანამემამულე **არანჩა სანჩეს ვიკარიოც** იყო, რომელიც ახალბედა მეჩოგნეს კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებს. მორესმომ კი გაოგნებულმა დატოვა კორტი.

*"არც კი ვიცი, რით ავხსნა ჩემი ასეთი უვარგისი თამაში. პრაქტიკულად არაფერი გამომდიოდა. ერთადერთი, რასაც ახლა ვიტყვი, ბოდიშია, რასაც ჩემს ქომაგს ვუხდი. ჩემს თამაშს რეალურად თამაში არც ერქვა, ეს ნამდვილი საშინელება იყო"*, - განაცხადა მორესმომ, ვინც საფრანგთის ღიაზე მე-14 მარცხი იწვნია.

განზილება არც ბლეიკს აკლდა. მან აღიარა, რომ გულბისმა შესანიშნავად ითამაშა. თუმცა ისიც დასძინა, რომ თავის მარცხში უფრო თავადვეა დამნაშავე. *"წავაგე ჩოგბურთელთან, რომელსაც რეიტინგში მე-80 ადგილი უკავია, თუმცა ამ ადგილისთვის შეუფერებლად კარგად თამაშობს. ამ თამაშით მას ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ როცა ასე უგერგილოდ ვირჯები, ჩემი დამარცხებაც ნებისმიერს შეუძლია"*, - განაცხადა ამერიკელმა.

იმ ჩოგბურთელებს შორის, რომლებიც ქალთა ბადეს უკვე გამოეთიშნენ, ჩაკვეტაძე ყველაზე რეიტინგული (ტურნირზე მეექვსე ნომრად იყო განთესილი) ჩოგბურთელია. მისი დამარცხება კი ესტონელმა **კაია კანეპიმ** ინება. ჩოგბურთელმა, ვინც შარშან "როლან გაროსზე" მეოთხედფინალში ითამაშა, ამჯერად ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს, ვისაც ჯერჯერობით სერიოზული მიღწევა არ ჰქონია. საერთო ჯამში, კანეპიმ ოთხჯერ აიღო მეტოქის მოწოდება და საქმე 99 წუთში მოათავა.

ფედერერს ოთხი სეტი დასჭირდა ესპანელი **ალბერტ მონტანესის** დასამარცხებლად. მონტანესმა პირველი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო, მაგრამ შემდეგ შვეიცარიელისგან საჩოგბურთო გაკვეთილი მიიღო. მომდევნო სამ სეტში ფედერერმა მას მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო, შეხვედრას კი წერტილი ზედიზედ ორი ეისით დაუსვა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწია ნადალმა, ვინც ხელიც კი არ გაანძრევინა ფრანგ **ნიკოლას დევილდერს**. სხვათა შორის, ნადალს პირველი წრის შეხვედრა ორშაბათს უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ უამინდობის გამო, ის ოთხშაბათს დაასრულა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



სუარეს ნავარომ
არანჩა სანჩესის ქება დაიმსახურა

### მამაკაცები

#### მეორე წრე

**როჯერ ფედრერი (შვეი, 1)**-ალბერტ მონტანსი (ესპ) 6:7(5), 6:1, 6:0, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ნიკოლას დევილდერი (საფრ) 6:4, 6:0, 6:1; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-მარატ საფინი (რუს) 7:6(4), 6:2, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-ფაბრის სანტორო (საფრ) 6:0, 6:1, 6:0; **ჟერემი შარდი (საფრ)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 6) 3:6, 4:6, 6:2, 6:1, 6:2; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 7) 7:6(2), 3:6, 7:5, 6:3; **სტანისლას ვავრინკა (შვეი, 9)**-მარინ ჩილიჩი (ხორვ) 7:6(3), 7:6(4), 6:1; **ტომი რობრედო (ესპ, 12)**-მარკ გიშელი (საფრ) 6:7(7), 6:4, 6:4, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 15)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 6:3, 6:2, 6:2; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 21)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:1, 6:0, 6:7(7), 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 22)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 7:5, 4:6, 6:3, 7:5; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 24)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 7:5, 6:0, 6:7(4), 7:6(3); **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 25)**-მარდი ფიში (აშშ) 6:4, 6:3, 6:2; **იარკო ნიემინენი (ფინ, 26)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 7:5, 6:1, 3:6, 7:6(2); **რობი გინეპრი (აშშ)**-იგორ ანდრეევი (რუს, 27) 4:6, 6:2, 7:6(5), 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 28)**-დიეგო ხუნკეირა (არგ) 6:3, 6:4, 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 30)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 7:6(4), 6:0, 6:0; **რობინ სოდერლინგი (შვედ)**-პოლ კაპდევილი (ჩილ) 6:3, 6:2, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვა)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 7:5, 6:4, 5:7, 7:5; **იურგენ მელცერი (ავსტ)**-მარკოს დანიელი (ბრა) 4:6, 6:3, 2:6, 6:3, 6:4; **გაელ მონფილსი (საფრ)**-ლუის ორნა (პერუ) 7:6(5), 6:4, 7:5; **მარიო ანჩიჩი (ხორვ)**-დავიდ მარერო (ესპ) 4:6, 6:0, 6:3, 6:2

### ქალები

#### მეორე წრე

**ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)**-მარინა ერაკოვიჩი (ახ.ზელ) 6:2, 7:6(5); **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4)**-ვანია კინგი (აშშ) 6:4, 6:2; **კაია კანეპი (ესტ)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6) 6:4, 7:6(2); **ელენა დემენტიევა (რუს, 7)**-მარტა დომახოვსკა (პოლ) 6:1, 6:4; **ვენუს უილიამსი (აშშ, 8)**-სელიმა სფარი (ტუნი) 6:2, 6:4; **აგნეშ სავაი (უნგ, 12)**-საბინ ლისიცკი (გერ) 7:6(3), 6:3; **დინარა საფინა (რუს, 13)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლვკ) 6:0, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბელა, 16)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:0, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 18)**- მამიჩი (ხორვ) 6:3, 6:0; **ალის კორნე (საფრ, 19)**-ხისელა დულკო (არგ) 6:0, 4:6, 6:4; **ძი ჭენი (ჩინ)**-მარია კირილენკო (რუს, 21) 4:6, 6:3, 6:2; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-ამელი მორესმო (საფრ, 22) 6:3, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 26)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 3:6, 6:1, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 27)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:0, 7:5; **დომინიკა ჩიბულკოვა (სლვკ, 28)**-მილაგროს სეკერა (ვენე) 6:3, 6:0; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 29)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 4:6, 6:3, 6:1; **ოლგა გოვორცოვა (ბელა)**-აი სუგიამა (იაპ, 31) 6:0, 7:5; **კარინ კნაპი (იტა, 32)**-ოლივა სანჩესი (საფრ) 6:2, 7:6(4); **კეისი დელაკვა (ავსტრალ)**-ნატალი დეში (საფრ) 6:4, 62; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-გალინა ვოსკობოევა (რუს) 7:5, 6:3; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 1:6, 6:1, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**- სამანტა სტოშური (ავსტრალ) 6:2, 6:1; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-შუაი პენი (ჩინ) 6:4, 6:3

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# ფოიგტის სოლო გამარჯვება

ჯიროზე ბოლო "იოლი" ეტაპი გაიმართა და ის გერმანელი **იენს ფოიგტის** გამარჯვებით დასრულდა. დღეიდან ველომარათონის მონაწილეებს ურთულესი სამი ეტაპი ელით, რომელთაგან ორი სამთოა, მესამე, ჯიროს უკანასკნელი ეტაპი კი, რომელიც ტრადიციისამებრ, მილანში დასრულდება, დროზე ინდივიდუალური რბოლაა.

ფოიგტმა დაწინაურებული ჯგუფი მაშინ ჩამოიტოვა, როცა ფინიშამდე ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი, 35 კილომეტრი იყო დარჩენილი. რა თქმა უნდა, უპირატესობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ სამივე მდევარს – იტალიელებს, **ჯოვანი ვისკონტის**, **რინალდო ნოჩენტინისა** და **გაბრიელე ბოსისიოს** ფინიშთან მაინც წუთზე მეტით მიასწრო.

გამარჯვებულს თითქმის რვა წუთით ჩამორჩა პელოტონი, რომელსაც სათავეში მალია როზას თანაგუნდელები, "ასტანას" ველომრბოლები ედგნენ. ეს ეტაპიც სულის მოსათქმელად გამოიყენა ესპანელმა **ალბერტო კონტადორმა**, ვისაც დარჩენილ სამ ეტაპზე სერიოზული გამოცდა ელის. და თუ მას გაუძლო, მილანში თავის კარიერაში მეორე დიდ გამარჯვებას იზეიმებს. შეგახსენებთ, რომ შარშან კონტადორმა საფრანგეთის ტური მოიგო.



სტარტამდე, მსოფლიოს იტალიელმა ჩემპიონმა **პაოლო ბეტინიმ** განაცხადა, ეს ჩემი ბოლო შანსია, რომ კარიერაში ჯიროს მესამე ეტაპი მოვიგოო და მანაც თავი არ დაზოგა იმისათვის, რომ მიზნისთვის მიეღწია. მაგრამ მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა.

სწორედ ბეტინი იყო ის ველომრბოლი, რომელმაც ეტაპის დაწყებიდან ათი კილომეტრის შემდეგ დაიწყო შეტევა და მალე პელოტონი უკან მოიტოვა. თუმცა, მალევე, ეულად დაწინაურებულ იტალიელს ფოიგტი, იტალიის ჩემპიონი ვისკონტი, **დანიელე ბენატი**, ესპანეთის ჩემპიონი **ხოაკინ როდრიგესი** და კიდევ რამდენიმე ველომრბოლი შეუერთდა.

რამდენადაც დაწინაურებულთა შორის, კლასიფიკაციაში ყველაზე მოწინავე პოზიციაზე მყოფი კოლუმბიელი **ფელიქს კარდენასი**, მალია როზას 11 წუთზე მეტით ჩამორჩებოდა, "ასტანას" ცისფერმა მატარებელმა, წინ წასულების დევნით თავი არც შეიწუხა. შედეგად, ბეტინის მეწინავე ჯგუფის უპირატესობამ მალე ექვს წუთს მიაღწია.

რბოლის ორი მესამედი გასული იყო, როცა წვიმა გაძლიერდა. ფოიგტმა სწორედ ამას დაამთხვია თავისი გააქტიურება, რაზეც მის "მიძინებულ" კომპანიონებს პასუხი არ გაუციათ. ერთი ორჯერ, ფეხს ბეტინიმ და ნოჩენტინიმ აუჩქარეს, თუმცა ფოიგტის დაწევა მაინც არ გამოუვიდათ.

ფინიშამდე 30 კილომეტრით ადრე, ბეტინიმ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, მაგრამ მალე დაიღალა და აქედან მოყოლებული, თავი აღარაფრით გამოუჩენია. ხუთი კილომეტრის შემდეგ კი, როცა ფოიგტის უპირატესობამ 50 წამს მიაღწია, ნოჩენტინიმ შეტევა დაიწყო. მას ბოსისიო და ვისკონტი გაჰყვნენ. იტალიურმა ტრიომ გერმანელის დაწევა კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ დროზე რბოლების 36 წლის სპეციალისტი მათთვის მაინც მიუწვდომელი დარჩა. მანაც თავის კარიერაში პირველად მოიგო იტალიური ველომარათონის ეტაპი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

#### მე-18 ეტაპი. მენდრიზიოდან ვარეზემდე (147 კმ)

1. იენს ფოიგტი (გერმანია, CSC) 3:22.46 (43.5 კმ/სთ); 2. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, ქვიკ სტეპი) 1.07; 3. რინალდო ნოჩენტინი (იტალია, AG2R ლა მონდიალე) 1.07; 4. გაბრიელე ბოსისიო (იტალია, LPR ბრეიკსი) 1.07; 5. დანიელე ბენატი (იტალია, ლიკვიგაზი) 2.04; 6. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკ სტეპი) 2.04; 7. ფელიქს რაფაელ კარდენას რავალო (კოლუმბია, ბარლოუორლდი) 2.04; 8. ალან პერეს ლესუანი (ესპანეთი, ესკალტელ-ეუსკადი) 2.04; 9. მაურისიო ალბერტო არდილა კანო (კოლუმბია, რაბობანკი) 2.04; 10. ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.04...

#### კლასიფიკაცია 18 ეტაპის შემდეგ

1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 75:45.17; 2. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 0.41; 3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, დიკვიჯოვანი) 1.21; 4. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე) 2.00; 5. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკვიგაზი) 2.05; 6. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR ბრეიკსი) 2.18; 7. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 2.47; 8. ემანუელე სელა (იტალია, CSF ნავიგარე) 4.25; 9. იურგენ ვან დენ ბრიოკი (ბელგია, სილენს-ლოტო) 4.26; 10. დომენიკო პოცოვივო (იტალია, CSF გრუპ ნავიგარე) 5.25...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. III მატჩი

# პინგვინებმა გაიღვიძეს



**პიტსბურგი-დეტროიტი 3:2**

1:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 კროსბი-5 (მარიან ჰოსა-11), 2:0 კროსბი-6 (მარიან ჰოსა-12, რაიან მელოუნი-10), 2:1 ფრანცენი-13 (ლიდსტრიომი-10, კრონვალი-13), 3:1 ჰოლი-2 (ტელბოტი-6, რობერტსი-2), 3:2 სამუელსონი-5 (სტიუარტი-5, ფილპულა-6).

**სერია 2:1**

როგორც იქნა, სტენლის თასის ფინალურ სერიაში "პიტსბურგ პინგვინზმაც" გამოიღვიძა. სერიის პირველ ორ მატჩში უნიათო და რაც მთავარია, უგოლო თამაშის შემდეგ, "პინგვინებმა" ამჯერად გაცილებით შინაარსიანად და აგრესიულად იმოქმედეს. თავისი მაღალი კლასი აჩვენა გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშემ, **სიდნი კროსბიმ**, რომელმაც **მარიან ჰოსას** გადაცემების წყალობით ორი გოლი გაიტანა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც სწორედ ეს ახალგაზრდა ჰოკეისტი დასახელდა.

სტუმრებმა ამჯერადაც მეტოქეზე გაცილებით მეტი ზუსტი დარტყმა შეასრულეს, ოღონდ გუშინ, "პიტსბურგის" კარში უფრო ეფექტურად მოქმედებდა **მარკ-ანდრე ფლერი**, მის ვიზავის, **კრის ოსგუდს** კი, ორი "შათაუტის" შემდეგ, კიდევ ერთი გმირობისთვის აღარც იღბალი ეყო და აღარც ენერგია.

წინა მატჩის შიმოხილვისას ვწერდით, რომ "პიტსბურგისთვის" ძალიან ბევრს ნიშნავს საკუთარი მოედნის ფაქტორი. ამ გუნდმა პლეი ოფში შინ ზედიზედ მეცხრე გამარჯვებას მიაღწია, რეგულარულის ჩათვლით კი, "პინგვინებს" საკუთარ მოედანზე ზედიზედ 17 (!) შეხვედრა აქვთ მოგებული.

კროსბის ორი გოლის მიუხედავად, "დეტროიტი" ბუნებრივია, მარცხს იოლად არ შეურიგდა. სტუმრებმა თითქმის მთელი მესამე პერიოდი შეტევაში გაატარეს, მაგრამ მათ ცუდი სამსახური გაუწია პიტსბურგელი **ადამ ჰოლის** ერთგვარად კურიოზულმა გოლმა - კარის უკან მყოფმა მცველმა შაიბა ოსგუდს მოარტყა და ისე შეაგდო ბადეში. ამის შემდეგ, "რედ უინგზმა" კიდევ ერთხელ მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა, საფინალო სირენამდე დაახლოებით სამი წუთით ადრე კი, რიცხობრივი უპირატესობაც მიიღო, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დღეს "დეტროიტს" გამარჯვება არ ეწერა.

ამ გამარჯვებით "პიტსბურგმა" სერიას ინტრიგა შეუნარჩუნა. ანგარიში 2:1 იმას ნიშნავს, რომ გუნდები დეტროიტში მეხუთე მატჩის სათამაშოდ დაბრუნდებიან. "პინგვინებს" აუცილებლად მართებთ ერთი გასვლითი მატჩის მოგება, თუმცა მათ მანამდე საკუთარ არენაზე მეოთხე მატჩი აქვთ მოსაგები. ეს შეხვედრა შაბათს უნდა გაიმართოს.

**გია თვალაბეიშვილი**

კალათბურთი

# ფოსტალიონი ბრუნდება?

ლეგენდარული **კარლ მელოუნი** აქტიურად ვარჯიშობს და მისი ინკოგნიტო მეგობრის თქმით, "ფოსტალიონი" სერიოზულად ფიქრობს დიდ კალათბურთში დაბრუნებაზე.

მელოუნი, რომელმაც "იუტასა" და "ლეიკერსში" ასეც ვერ მოახერხა ჩემპიონობის მოპოვება, არცერთ გუნდს არ დაკავშირებია, თუმცა უკვე გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მისით "შარლოტ ბობქეთსი" და ამ გუნდის ერთ-ერთი თანამფლობელი, **მაიკლ ჯორდანი** დაინტერესდა. ის ჯორდანი, რომელიც "ბულზის" რიგებში მელოუნის "ჯაზმენებს" მუდმივად გზას ულობავდა.

*"კარლმა თავად უნდა მიიღოს დიდ კალათბურთში დაბრუნების გადაწყვეტილება, თუმცა მეეჭვება, იგი ფსიქოლოგიურად მზად იყოს ამისთვის. კარლს იუმორის კარგი გრძნობა აქვს და ამჯერადაც ხუმრობს. თანაც, ჯორდანის გუნდში დაბრუნება? სასაცილოა"*, - ამბობს მელოუნის ყოფილი თანაგუნდელი, თავის დროზე ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მსროლელი **ჯეფ ჰორნაჩეკი**.

**ზურაბ თალაკვაძე**



# ტეო კლიპერსს უმიზნებს

"ლოს ანჯელეს კლიპერსმა" მოლაპარაკება დაიწყო მოსკოვის ცსკა-სა და საბერძნეთის ნაკრების ვარსკვლავთან, მსროლელ **თეოდოროს პაპალუკასთან**. ეს უკანასკნელი თანახმაა ამერიკაში გააგრძელოს კარიერა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მომავალი გუნდი ბერძენის რამდენიმე მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

პაპალუკასის აგენტის თქმით, პირველ რიგში, მისი კლიენტის ხელფასი მინიმუმ 20 პროცენტით უნდა აღემატებოდეს ცსკა-ში დღევანდელ ანაზღაურებას, რომელიც დაუზუსტებელი ინფორმაციით, წლიურ 2.75 მილიონ დოლარს შეადგენს.

"კლიპერსის" ერთ-ერთი ლიდერი, პაპალუკასის თანაამპლუელი **კორი მაგეტი** თავისუფალი აგენტი გახდა და დიდი შანსია, რომ კარიერა სხვაგან გააგრძელოს, გუნდი კი მის შემცვლელს ეძებს. მაგეტის უკვე შესთავაზეს თანამშრომლობა "მაიამი ჰიტმა", "შარლოტ ბობქეთსმა" და "საკრამენტო კინგზმა". "საკრამენტომ" მაგეტს 5-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის მიხედვითაც მოთამაშეს შეუძლია 78 მილიონი დოლარი გამოიმუშავოს.

**ზურაბ თალაკვაძე**

ჩოგბურთი

# მარია, პეპსის ახალი სახე




მსოფლიოს პირველი ჩოგანი, რუსი **მარია შარაპოვა** ნოემბრიდან გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი მაგნატის, "პეპსის" სახე გახდება. ახალი ხელშეკრულებით, რუსი მოთამაშე წლიურად 5.15 მილიონ ევროს მიიღებს, სულ კი მასთან 6-წლიანი კონტრაქტი დაიდება.

შარაპოვასთან კონტრაქტი საფრანგეთის ღია პირველობის დასრულების შემდეგ უნდა გაფორმდეს. ამის შესახებ, მარიას ერთ-ერთმა აგენტმა, ამერიკელმა **მარკ რუდინშტეინმა** გამოაცხადა.

შარშანდელი სეზონის მიხედვით, მარია შარაპოვას სარეკლამო შემოსავალმა 23 მილიონი დოლარი შეადგინა. რუსი ჩოგბურთელი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქალი გახლავთ.

**ზურაბ თალაკვაძე**

## TV სპორტი

### 30 მაისი. პარასკევი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** უიქენდის მატჩების ანონსი.
**12:25** ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი.
**14:10** ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-საფრანგეთი.
**15:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:10** ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. მაკედონია-რუსეთი.
**16:25** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
**17:25** 90 წუთი - საფეხბურთო თოქ-შოუ.
**18:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:15** 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
**20:15** ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-რუსეთი.
**20:30** საფეხბურთო კლუბი.
**21:25** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:55** ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი.
**23:40** ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პოლონეთი-პორტუგალია.
**01:25** საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:30** სპორტდოსიე. კალათბურთი.
**08:00** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
**08:25** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**08:55** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**09:11** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**09:40** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. აშშ-ფინეთი. კანადა.
**11:40** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**13:30** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. პიტსბურგი-დეტროიტი. III მატჩი.
**15:15** ფეხბურთი. Barca TV.
**15:20** სპორტკლუბი.
**15:40** პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
**17:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**17:30** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**17:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი. ჰამბურგი. გერმანია.
**21:00** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**21:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ინტერი-სიენა.
**22:00** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**23:15** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**00:30** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**00:45** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**02:30** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. აშშ-ფინეთი. კანადა.
**04:30** სპორტდოსიე. კალათბურთი.
**05:00** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. პიტსბურგი-დეტროიტი. III მატჩი.
**06:48** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT**

**10:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე. მიმოხილვა.
**10:45** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
**11:15** ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. რუსეთი-სერბეთი.
**12:00** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე.
**13:00** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე.(LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIX ეტაპი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე. მიმოხილვა.
**22:45** ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. რუსეთი-სერბეთი.
**23:00** ფეხბურთი. ევრო 2008. პრევიუ.
**00:00** პოკერი. ვალენსია. ესპანეთი.
**01:00** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე. მიმოხილვა.
**02:00** ექსტრემალური სპორტი.
**02:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
**03:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ფინალი. იტალია-ჩილე. ტულონი. საფრანგეთი.
**13:00** კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
**17:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**18:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ფინალი. იტალია-ჩილე. ტულონი. საფრანგეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია.
**21:00** მაუნტინბაიკი. მსოფლიო თასი. მარიბორი. სლოვენია.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
**22:15** ახალი ამბები.
**22:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XXIV ტური (LIVE).
**00:15** კიკ-ბოქსინგი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** კიკ-ბოქსინგი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
**02:30** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

**ჰოლანდია-დანია 1:1**

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ვან ბრონკჰორსტი, ჰეიტინგა, მატიისენი, ოოიერი (46. დე იონგი), ვან დერ ვაარტი (64. კუიტი), რობენი (77. ბაბელი), ენგელაარი (66. დე კლერი), სნეიდერი (82. აფელეი), დ. დე ზეუვი, ვან ნისტელროოი (65. ვენეგოორ ოფ ჰესელინკი).

**დანია:** კრისტიანსენი, კროლდრუპი, კვისტი (82. რასმუსენი), პოულსენი, ანდრეასენი (77. კრისტენსენი), კალენბერგი (46. ტომასონი), რომედალი, იორგენსენი (62. რეტოვი), პერესი (76. ვინგარდი), ბენდტნერი.

**გოლები:** 1:0 ვან ნისტელროოი (30), 1:1 კოულსენი (56)

**მაყურებელი:** 35 000

**თურქეთი-ფინეთი 2:0**

**თურქეთი:** ვოლქანი, საბრი სარიოგლუ, სერვეთ ჩეთინი, გიოქჰანი ზანი, ჰაქან ქადირ ბალტა, მეჰმეთ აურელიო (87. მეჰმეთ თოფალი), ჰამით ალთინთოფი (78. აიჰანი), ემრე ბელოზოგლუ, ნიჰათი (82. სემიჰი), თუნჯაი შანლი (67. არდა თურანი), მევლუთი (74. ქაზიმი).

**გოლები:** 1:0 თუნჯაი შანლი (15), 2:0 სემიჰი (88)

**მაყურებელი:** 10 000

**ირლანდია-კოლუმბია 1:0**

**ირლანდია:** კილი, ო'ში, დელენეი, დანი, მაკშეინი, მილერი, ველანი, მაკგიდი, კინი, დოილი (85. მერფი), კეოგი (90. ჰულეჰენი).

**გოლი:** 1:0 კინი (3)

**მაყურებელი:** 35 000

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ლატვია-ესტონეთი | 2:1 |

**ბელგია**

**II დივიზიონი. პლეიოფი**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-ჰევერლე | 1:0 |
| ტუბეკე-ლომელი | 3:1 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოულუ-კაპა | 1:1 |
| იიპო-ტპ47 | 1:0 |
| კემი-კპვ | 1:2 |
| ტპვ-გრიფკ | 3:0 |
| ვიიკინგიტი-ჰამეენლინა | 2:1 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სირიუსი-ენჩოპინგი | 2:1 |

**კალათბურთი**

**პლეიოფი. 1/2 ფინალი**

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი-დეტროიტი 106:102**

23:23, 29:23, 32:25, 22:31

ბ: გარნეტი (33+7 მოხსნა), რ. ალენი (29), პერკინსი (18+16 მოხსნა+2 ჩაჭრა+2 დაფარება), პირსი (16+6 პასი), რონდო (7+6 მოხსნა+13 პასი+4 ჩაჭრა).

დ: ბილაპსი (26+6 პასი), ჰემილტონი (25+6 პასი+2 ჩაჭრა), რ. უოლასი (18+3 დაფარება), სტაკი (13+2 ჩაჭრა).

**სერია 3:2**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# სისხლიანი ფინალი

**გუშინ, 23 წელი შესრულდა იმ ტრაგიკული მოვლენებიდან, რომელიც ბრიუსელში, ჩემპიონთა თასზე "იუვენტუსისა" და "ლივერპულის" ფინალის დროს გათამაშდა. დღეს მოგიყვებით იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია 39 ადამიანის დალუპვა.**











დღეს, 23 წლის შემდეგ, უკვე ცნობილია ყველა ის მიზეზი, რამაც ბრიუსელური კოშმარი გამოიწვია. მაგალითად, ცნობილია, რომ ყველაფერი არა "იუვენტუსისა" და "ლივერპულის" მატჩის დღეს, არამედ ერთი წლით ადრე, ჩემპიონთა თასის წინა ფინალის დღეს დაიწყო. ლივერპულელები "რომას" ეთამაშებოდნენ, თანაც იტალიის დედაქალაქში. რბილად რომ ვთქვათ, იქ ინგლისელებს არც ისე თბილი მიღება მოუწყვეს. ტელევიზიით აჩვენებდნენ, თუ როგორ დასდევდნენ მოტოციკლებზე ამხედრებული რომაელი გულშემატკივრები "ლივერპულის" ფანებს და უმოწყალოდ უსწორდებოდნენ მათ. აჩვენეს საავადმყოფოში მოხვედრილი 14 წლის ბიჭი, რომელსაც სახე სამართებლით ან დანით ჰქონდა დასერილი.

ის, ვინც მომდევნო ფინალის ორგანიზაციაზე იყო პასუხისმგებელი, უნდა სცოდნოდა, რომ ბრიტანელ ფანატებს პატიება არ სჩვევიათ და ბრიუსელის მატჩისთვის განსაკუთრებული მომზადება იყო საჭირო. არადა, არანაირი პრევენციული ზომები არ ყოფილა მიღებული. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დღეს, ასობით ინგლისელმა ბრიუსელის ცენტრში არეულობები მოაწყო (ამის გამო, ცენტრში ყველა რესტორანი დაიხურა) და შემდეგ ყველანი უგონოდ მთვრალები გაეშურნენ სტადიონისკენ.

სტადიონზე ძალიან ცოტა პოლიციელი იყო. იმ სექტორში, სადაც ტრაგედია დატრიალდა, სულ ხუთი სამართალდამცველი მორიგეობდა. და, რა თქმა უნდა, ისინი ვერ გაუძლებდნენ ფანების ზეწოლას, რადგან მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო. ჯარისკაცები კი "ეიზელზე" მოგვიანებით მივიდნენ, როცა ტრაგედია უკვე მომხდარი იყო. თუ თვითმხილველებს დავუჯერებთ, პოლიციელებს არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ ყალბი ბილეთების გამსაღებლები დაეკავებინათ, ან დაეკავებინათ ის ფანები, რომლებიც ამ ყალბი ბილეთებით მოხვდნენ ტრიბუნებზე.

ცნობილია, რომ მოგვიანებით, "ეიზელის" სტადიონი იმისთვის დაანგრიეს, რომ მას არ ალეძრა ფეხბურთის გულშემატკივრებში მოგონებები იმ საშინელი ტრაგედიის შესახებ. სინამდვილეში კი, მისი დემონტაჟი უკვე იმ ავადსახსენებელ ფინალამდე ჰქონდათ გადაწყვეტილი. "იუვენტუსისა" და "ლივერპულის" შეხვედრა ისედაც ბოლო (ან ერთ-ერთი ბოლო) უნდა ყოფილიყო 1920 წელს აშენებული არენისთვის. ეს იყო მოძველებული სტადიონი, რომელსაც მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ჩატარებული უმნიშვნელო რეკონსტრუქცია. "ლივერპულის" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ რობინსონი** უეფას სხვა ქალაქში სთხოვდა ფინალის გადატანას, მაგრამ მისი წინადადება არ გაიზიარეს. ზოგიერთი გულშემატკივრი იხსენებს, რომ ტრიბუნაზე მოხვედრა უბილეთოსაც იოლად შეეძლო. ამისთვის საკმარისი იყო მოძველებული "ეიზელის" გარღვეულ ღობეში გაძრომა. ერთად აღებულმა ყველა ამ ფაქტორმა გამოიწვია კიდევ ეს კატასტროფა.

პოლიციამ ვერ შეუშალა ხელი მთვრალი ინგლისელების სტადიონზე შესვლას. ეს სწორედ ის ჯგუფი იყო, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი იტალიელებზე შურისძიება. ორგანიზატორებს ეგონათ, რომ თუ ლივერპულელებს კუთხის ერთ-ერთ ტრიბუნაზე შეუშვებდნენ, ხოლო მეზობელ სექტორში ნეიტრალურ გულშემატკივრებს დასვამდნენ, ეს ნაბიჯი ტრიბუნებზე სიმშვიდის გარანტია იქნებოდა. მათ რატომღაც ვერ მოისაზრეს, რომ შეიძლებოდა ამ სექტორის ბილეთები ბელგიელებისგან იტალიელებს ან ბრიტანელებს შეეძინათ. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ის გულშემატკივრები, რომლებიც ერთმანეთისგან მაქსიმალურად დაშორებული უნდა ყოფილიყვნენ, ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ.

ორგანიზატორებმა არც მაშინ მიმართეს აქტიურ მოქმედებას, როცა მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე, გადაჭედილი სტადიონი ვულკანს დაემსგავსა. ეგონათ, რომ საქმე სექტორიდან სექტორში ბოთლების სროლითა და გინებით დასრულდებოდა. ვერ გათვალეს.

20 საათსა და 45 წუთზე საშინელება დაიწყო. ლივერპულელებმა თავიანთი სექტორიდან შეტევა დაიწყეს. იოლად გაანადგურეს სექტორების გამყოფი სუსტი ბარიერი და არც პოლიციელებისგან ჰქონიათ წინააღმდეგობა. იტალიელი გულშემატკივრები, რომელთა შორის არ ყოფილან რადიკალურად განწყობილი ტურინელები, ცდილობდნენ, გაქცევით გადაერჩინათ თავი მთვრალი და შარშანდელი დამცირებისთვის შურისძიებას მოწყურებული ბრბოსაგან. მაგრამ გასაქცევი არსად იყო. მათ წინ ბეტონის სამი კედელი აღიმართა - ერთი წინ და ორი გვერდით. როცა "ეიზელს" აშენებდნენ, ბუნებრივია, არავის მოსვლია აზრად, რომ სტადიონზე შეიძლებოდა ამგვარი სიტუაცია შექმნილიყო. არადა, ის ნამდვილ ხაფანგად იქცა ათეულობით უმწეო ადამიანისთვის. უკნიდან მოწოლილი ხალხის ნაკადის გამო, ზოგიერთი პირდაპირ მიეჭყლიტა ბეტონს, ზოგიერთები სხვების ფეხებთან უგონოდ ეცემოდნენ. დაბოლოს, ძველი კედელი ჩამოინგრა. მისმა ნამსხვრევებმა კიდევ ათეულობით ადამიანი ჩაიტანა. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს კედელი რომ არ დანგრეულიყო, ტრაგედიის მასშტაბები გაცილებით საშინელი იქნებოდა.

უკვე მთელი სტადიონი მძვინვარებდა. ტელეკამერამ დააფიქსირა მინდორზე გავარდნილი გულშემატკივარი პისტოლეტით ხელში (შემდეგ გაირკვა, რომ ეს არ იყო საბრძოლო იარაღი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საოცარია, საერთოდ როგორ შეძლეს სტადიონზე იარაღის შეტანა). ხან ერთ, ხან მეორე ადგილას ხელჩართული ჩხუბი იმართებოდა. სტადიონის ტერიტორიაზე სასწრაფოდ გამოიძახეს ჯარის ნაწილები, "ლივერპულის" ფეხბურთელები კი, რუპორებით ცდილობდნენ თანამემამულეების დაშოშმინებას. ბოლოს, როცა მინდორი ჯარისკაცებით იყო გარსშემორტყმული, მაყურებლების წინაშე კაპიტნები - **ფილ ნილი და გაეტანო შირეა** გამოვიდნენ. მათ უკვე იცოდნენ, რომ დალუპული იყო ოცზე მეტი ადამიანი, მაგრამ მაინც გამოაცხადეს, რომ მატჩი საათნახევრის დაგვიანებით აუცილებლად გაიმართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ არავის ჰქონდა მოედანზე გასვლის სურვილი.

ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ ფინალის გაუქმება ახალ მღელვარებას გამოიწვევდა. სანამ თამაში მიდიოდა, უსაფრთხოების სამსახურებმა მოახერხეს მეტ-ნაკლები სიმშვიდის შენარჩუნება. ის ფინალი მაინც გაიმართა და "იუვენტუსის" გამარჯვებით დასრულდა (ერთადერთი გოლი პენალტით **მიშელ პლატინიმ** გაიტანა). თუმცა იმ დღეს გამარჯვებულებსაც და წაგებულებსაც, ალბათ, ერთნაირი ემოციები ჰქონდათ, რადგან ერთნიც და მეორენიც შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. "ლივერპულის" ლეგენდამ **კენი დალგლიშმა**, როცა შეიტყო, რომ ტრაგედიიდან ოცი წლის თავზე, ეს გუნდები ისევ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ასეთი რამ მოყვა. დილა ფინალის შემდეგ. ის ავტობუსში ზის, რომელმაც "ლივერპული" სასტუმროდან აეროპორტში უნდა წაიყვანოს. ავტობუსი ხალხით არის გარშემორტყმული. დალგლიშის ფანჯარაზე ადამიანის სახეა მიბჯენილი. და ეს სახე უდიდესი ნაღველითა და უკიდურესი ზიზღით არის სავსე.

"ეიზელის" ტრაგედიის მსხვერპლთა რიცხვმა 39-ს მიაღწია (დალუპულთაგან ყველანი, ერთის გარდა, "იუვენტუსის" ფანები იყვნენ), 400-მდე დაჭრილი საავადმყოფოში იმუშებდა იმ საშინელი ღამის ჭრილობებს. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ ტრაგედიის გამო არამარტო "ლივერპულს", არამედ დანარჩენ ინგლისურ კლუბებსაც დასჯიდნენ და მათ ხუთი წლით ჩამოაშორებდნენ ევროპის საკლუბო ტურნირებს.

გია **თვალაბეიშვილი**